როლანდ თოფჩიშვილი

ლეჩხუმური გვარსახელები

დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ისტორიიდან

გამომცემლობა „საქართველო“
თბილისი — 1993 წ.

801. 311 (479.22)
თ 778

ნაშრომი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნაკლებად შესწავლილი ისტორიულ-გეოგრაფიული (ისტორიულ-ეთნოგრაფიული) კუთხის, ლეჩხუმის /ძველი თაკვერის/ ეთნიკურ ისტორიას და აქ განსახლებულ გვართა ეთნოისტორიულ საკითხებს. პრობლემა შესწავლილია ავტორის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების, წერილობითი მონაცემებისა და ტოპონიმების გამოყენებით. დადგენილია რამდენიმე მიგრაციული ნაკადი, რომლებიც ლეჩხუმის /ძველი თაკვერის/ ტერიტორიაზე ხდებოდა.

0505000000—001
Т ——————— 016—93
М 601(08)—93

© გამომცემლობა „საქართველო“, 1993

ISBN 5—529—01017—2

საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ ისტორიასთან ერთად ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყნის ეთნიკური ისტორიაც. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეთნიკური ისტორიის კვლევა განსაკუთრებული ყურადღების საგანი არ გამხდარა. ისტორიულად მიმდინარე ეთნიკური პროცესებისა და ეთნიკური ისტორიის საკვლევად ისტორიული, ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მეცნიერებების ძალისხმევაა საჭირო. ეთნოისტორიული პროცესების საკვლევად, ბუნებრივ-გეოგრაფიული და ისტორიული მოვლენების გამო, საქართველო ერთ-ერთ რთულ ქვეყანას წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონის — ლეჩხუმის ეთნიკური ისტორია. ამთავითვე უნდა გაესვას ხაზი, რომ ლეჩხუმის თანამედროვე მოსახლეობა ქართველურ ერთეულთა შერწყმის შედეგადაა მიღებული. საისტორიო და ეთნოგრაფიული მონაცემებით დასავლეთ საქართველოს ამ რეგიონში საერთოდ არ დასტურდება უცხო ეთნიკური ერთეულის განსახლებისა და მიგრაცია-განფენის ფაქტები.

ლეჩხუმი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და დიალექტური კუთხეა. იგი დასავლეთ საქართველოში /მდინარეების ცხენისწყლის, რიონისა და ლაჯანურას ხეობებში მდებარეობს. ქართველ ეთნოგრაფთაგან ამ კუთხემ, სამწუხაროდ, თავის დროზე ვერ მიიქცია სათანადო ყურადღება. უკანასკნელ ხანს ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეივსო. გაჩნდა რამდენიმე ნაშრომი ლეჩხუმის ეთნოგრაფიისა და ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებზე [5, 17, 28]. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს აოსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და იმის ლიტერატურული აღიარება, რა და როგორ გაკეთდა ამ პროვინციის შესასწავლად. ამ თვალსაზრისით ლეჩხუმი ყველაზე კარგად მაინც ენათმეცნიერულადაა შესწავლილი [7, გვ. 482-483; 24; 2; 1; 19]. ჩვენი მიზანია ლეჩხუმის ეთნიკური ისტორიის შესწავლა, რომელიც მჭიდროდაა გადაკვანძული მოსახლეობის მიგრაციის პრობლემებთან.

როგორც აღვნიშნეთ, ლეჩხუმი გეოგრაფიული თვალსაზრისით, მთისწინეთია—დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარს შორის. მოსახლეობის მიგრაციის თვალსაზრისით „ნაყოფიერ" ეთნოგრაფიულ მასალებს სწორედ ასეთი გეოგრაფიული ერთეულები იძლევიან.

ჯანამ უშუალოდ მოვუხმობთ ლეჩხუმში განსახლებული გვარების სადაურობა-წარმომავლობის ეთნოგრაფიულ მასალებს, ორიოღე სიტ-

ყველა უნდა შეეჩერდეთ ამ კუთხის გეოგრაფიის, საისტორიო გეოგრ-ფიისა და ისტორიული დემოგრაფიის ზოგიერთ საკითხზე. „ვაკე რეელიეფს რაჭა-ლეჩხუმში სრულიად უმნიშვნელო ფართობი უჭირავს, ამიტომ თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი გორაკ-ბორცვებზე და მთის კალთებზეა შეფენილი“ [27, გვ. 81]. ლეჩხუმში „სახნავ მიწებს უკავია მთელი ტერიტორიის მხოლოდ 7,2 %, ხოლო მრავალწლიან ნარგავებს 1,8%. საყურადღებოა ისიც, რომ აქაური მიწები მეტწილად ფერდობებს წარმოადგენენ და ხშირ შემთხვევაში არ გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით“. კიდევ: „მოსახლეობის სიხშირით რაჭა-ლეჩხუმს უკავია გარდამავალი ადგილი ბარის რაიონებიდ ნ მაღალმთიანი რაიონებისაკენ. პირველზე ბევრად უფრო სუსტადაა დასახლებული და მეორეზე მჭიდროდ. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენაა, რადგან იგი გარდამავალია ბარიდან მთისაკენ“ [27, გვ. 87].

ლეჩხუმი მოქცეულია საქართველოს ისეთ ისტორ-ულ-გეოგრაფიულ პროვინციებს შორის, როგორებიცაა სვანეთი, რაჭა, სამეგრელო, იმერეთი. ლეჩხუმს ჩრდილოეთით ქვემო სვანეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთიდან — რაჭა, სამხრეთით იმერეთი, ხოლო დასავლეთით — სამეგრელო, რომელსაც ლეჩხუმისაგან ასხის მთა ჰყოფს.

ლეჩხუმი დღეს ძირითადად ცაგერის ადმინისტრაციულ რაიონშია მოქცეული. მაგრამ ისტორიული ლეჩხუმის ფარგლები გაცილებით ვრცელია, რომელიც მოიცავდა მოსაზღვრე ქვემო იმერეთისა (ხონისა და წყალტუბოს რაიონები) და ქვემო რაჭის სოფლებსაც. ლეჩხუმის გეოგრაფიული საზღვრები ზუსტად განსაზღვრა ვახუშტი ბაგრატიონმა. მას ლეჩხუმი იმერეთის ერთ-ერთ ნაწილად მიაჩნდა: „არამედ ამჟამად ვინაჲთგან უწოდებენ ცხენისწყალს — ზემო იმერეთს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის ძთამდე, პირველად დაესწერთ ამას და განაყოფებს ესე იმერეთი: ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგუეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად“ [8, გვ. 746]. ვახუშტის კარგად აქვს გააზრებული, რომ ცხენისწყალს მის დროს („ამჟამად“) ზეით იმერეთს უწოდებენ, ე.ი. თავის დროზე ის იმერეთში შედიოდა. ვფიქრობთ, რომ აქ მეცნიერს ძირითადად პოლიტიკური მომენტი უნდა ჰქონდეს ასახული, რადგან, როგორც ცნობილია, ეთნოგრაფიული ლეჩხუმი XVII ს-ის 80-იან წლებამდე ისერეთის სამეფოში შედიოდა და მხოლოდ შემდეგ დაემორჩილა ადმინისტრაციულად სამეგრელოს სამთავროს. ვახუშტის ლეჩხუმის სამხრეთ საზღვრად ჩიქოვანთა სამკვიდრო სოფელი გორდი მიაჩნდა: „ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასიამდე არს ნეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად“. „გორდა არს სოფელი ლეჩხუმისა ბოლოს აწ რომელნი არიან ოდიშს დადიანად, ამას გორდასა შინა იყვნენ მსახლობელნი, ჩიქოვანნი, და იქიდამ გადადიანდნენ“. „გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმოსავლიდამ: ჩრდილოთ მთა კავკასი, ლეჩხომსა და სვანეთს შორისი; დასავლით მთა კავკასიცე და კავკასიდამ ჩამოსული სამხრეთად მთა გორდამდე; სამკრეთ რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსული დასავ-

ლეთად გორდამდე, ამას და ოკრიბას შორისი. ხოლო ამ ცხენისწყალს მოუერთვის გორდს ზეით, ჩ[illegible]ლოდამ, კ[illegible]ის გაშომდინარე ჰევი, და ამ ჰევზედ ციხე თაკუერი, მაღალ კლდეზა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი" [8, გვ. 746, 748].

ლეჩხუმი, რაჭასთან ერთად, ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ხშირად ერთ რეგიონად გვიხილავს — „რაჭა-ლეჩხუმი" (გავიხსენოთ „ფშავ-ხევსურეთი", „მესხეთ-ჯავახეთი"). ფშავ-ხევსურეთის მსგავსად, ისტორიულად რაჭა-ლეჩხუმიც ერთი სახელწოდებით — „თაკუერი" მოიხსენიებოდა [8, გვ. 746, 26, გვ. 52, 3, გვ. 54—75]. ნიშანდობლივია სვანთა მიერ „შვან-ლეჩხუმ"-ის ერთიანი გააზრებაც, რომელსაც მოგვიანო პერიოდში უნდა შეეცვალა „სვან-თაკუერი"/. შემდეგ მოხდა ერთიანი ქართული პროვინციის-თაკუერის ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულად — რაჭად და ლეჩხუმად გამოყოფა და ჩამოყალიბება. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ამ რეგიონში მიმდინარე ეთნიურ და სოციალურ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძველი სახელწოდება-თაკუერი ჩვენს შეასწავლ რეგიონს უფრო გვიანობამდე შემორჩა. „თაკუერი" ხშირად „რაჭას" უპირისპირდებოდა. ჩვენი აზრით, ეს იმით იყო განპირობებული, რომ თაკუერის რაჭის ნაწილმა უფრო ადრე დაკარგა თავდაპირველი ეთნიურ-ეთნოგრაფიული სახე, ლეჩხუმმა კი ის უფრო დიდხანს შეინარჩუნა: მოგვიანო პერიოდში ლეჩხუმის აღმნიშვნელი სახელწოდება „თაკუერი(ა)" გაქრა და დამკვიდრდა „ლეჩხუმი". თ. ბერაძის აზრით, „თაკუერის" მთლიანად „ლეჩხუმით" შეცვლა XIII—XIV სს-ში მოხდა (3ა, გვ. 32). ეს ცვლილებაც რეგიონის სახელწოდებაში აქ მოსახლეობის მოძრაობა-მიგრაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული. თუმცა ტრადიციით ლეჩხუმის ძველი სახელწოდება „თაკუერი" ბოლო დრომდე არსებობდა. მაგალითად, ლეჩხუმის გვიანდელი მფლობელების დადიანების ტიტულატურაში „ლეჩხუმის მფლობელის" ნაცვლად გვხვდება „სვან-თაკვერის მპყრობელი" [საყურადღებოა „სვან-თაკვერის" ერთიან ეთნოისტორიულ რეგიონად გააზრება]. 1748 წ. სიბუთში დადიანი თავის თავს იხსენიებს როგორც „ჟელმწიფედ დადგენებულმან დიდმა ოდიშისა, სვან-თაკვერისა მეფეთა-ეროსემან, დადიანმან პატრონმა ოტია-ამ..." [12, გვ. 154]. XVIII ს-ში დადიანის მხრივ „სვან-თაკვერის" (და არა ლეჩხუმის/ მფლობელად გამოცხადება იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მან ხაზი გაუსვას ოდოთგანვე ამ კუთხის პყრობას. ამით მას სურს თავისი ბატონობა დაამტკიცოს ისტორიულ თაკვერში /მის დროინდელ ლეჩხუმში/. თუმცა ცნობილია, და ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ლეჩხუმს დადიანები შედარებით გვიან, XVII ს-ის 80-იანი წლებიდან დაეპატრონენ. მას შემდეგ, რაც სამეგრელოს ფაქტიური გამგებელნი გახდნენ დადიანების ახალი საგვარეულოს წარმომადგენლები ლეჩხუმელი (თავისი ძირი წარმოშობით კი სვანი) ჩიქოვანები სოფ. გორდიდან. იქამდე ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ-გეოგრაფიულ ლიტერატურაში ლეჩხუმს ორ ნაწილად ყოფენ: ზემო ლეჩხუმი და ქვემო ლეჩხუმი, ახუ კლდედაღმართი [5, გვ. 4]. მაგრამ ველზე მუშაობისას მისი ზემო და ქვემო ლეჩხუმად დაყოფა ვერ დავადასტურეთ. ლეჩხუმის მოსახლეობა მხოლოდ კლდედაღმართს (ადგილობრივი გამოთქმით „ტ'ედაღმართი" გამოყოფს დანარჩენი ლეჩხუმისგან.

ლეჩხუმის ისტორიული დემოგრაფიისათვის საყურადღებო უნდა იყოს, რომ 1886 წლის საოჯახო სიების მონაცემებით აქ მოსახლეობდა 4.143 კომლი 31122 სულით (კომლში საშუალოდ 7,5 სული). ლეჩხუმის სოფლებში საშუალოდ 68 კომლი მკვიდრობდა, რაც მთისწინეთისათვის დამახასიათებელი რიცხობრივი მაჩვენებელია. იმავე აღწერით ლეჩხუმში 63 სოფელი იყო. ეს კომლზე მეტი მოსახლეობდა 12 სოფელში: საირმეში, ღლნორისაში, ლაილაშში, აღვში, ლვირიშში, ზუბში, ლუხვანოში, ცაგერ-გვესოში, წიფერჩში, ოყურეშში, ორბელში, ჩხუტელში. ამათაგან ყველაზე მეტი 229 — კომლი ლუხვანოში იყო, რომელიც ერთადერთი სოფელი იყო, რომლის მოსახლეობაც ორ ასეულ კომლს აჭარბებდა. ყველაზე მცირე - 9 კომლი ლეშკაშში მკვიდრობდა. ინტენსიური ყოფილა ლეჩხუმის მოსახლეობის მიგრაცია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში. მნიშვნელოვნად დაიკლო ლეჩხუმის მოსახლეობამ 1886 წლიდან 1904 წლამდე. 1886 წ. კომლთა მაჩვენებელი 4.143-ია, 1904 წლისათვის 2.697-მდე დასულა, ე. ი. კლება შეადგენს 1.446 კომლს, რაც მთელი მოსახლეობის 35%-ზე მეტია. (ანგარიშგასაწევია, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის მიჯნაზე ლეჩხუმში მძვინვარებდა ე. წ. „შავი ჭირის" ეპიდემია). მოსახლეობის მიგრაცია მჭიდროდ დასახლებული ლეჩხუმისათვის ბუნებრივ მოვლენად წარმოგვიდგება და, ცხადია, ასეთი განტვირთვა მოსახლეობისაგან ჩვენი ქვეყნის ნაკლებ დასახლებული კუთხეებისა და ქალაქებისათვისაც უფრო სასარგებლო იყო, ვიდრე ლეჩხუმისათვის საზიანო.

ლეჩხუმში დღეს განსახლებული გვარების შესახებ მივმართოთ ეთნოგრაფიულ მასალებს. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეს მხარე უაღრესად მიგრაციაქმნილი კუთხეა. აქ გვხვდებიან სვანეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან მოსულნი. ვფიქრობთ, უმჯობესია, ჯერ სვანეთიდან მიგრირებულ გვარებზე შეეჩერდეთ. რადგან ხშირად მიუთითებენ, რომ სვანეთთან ერთად, ლეჩხუმი ის რეგიონია, სადაც — ან (-იან) სუფიქსიანი გვარებია წარმოდგენილი.

სოფ. ჩხუტელსა და უსახელოში მოსახლეობენ გ უ გ ა ვ ე ბ ი. ჩხუტელელი გუგავების გადმოცემით, მათი გვარი ქვემო სვანეთიდან, სოფ. ლასკადურადანაა მოსული. სვანეთშიც იგივე გვარი უტარებიათ. დღეს ის გვარი ქვემო სვანეთში (ლასკადურა, გვიმრალი) კვლავ მოსახლეობს. საყურადღებოა, რომ ხალხურ მეტყველებაში სულ უსახელოში ეს გვარი რამდენჯერმე იხმარეს „გუგავანი"-ს ფორმით. ჩანს გუგავე-

ბი სვანეთიდან ლეჩხუმში საკმაოდ დიდი ხნის წინ გადმოსახლებულან. XVI ს-ის საბუთში „ცაგერის საყდრის გამოსაელია დავთარი“ ასახსენებულია გუგავების ორი კომლი, ოღონდ „გეგეუას“ ფორმით: „მართებს გუგავას სუსულასა...“, „მართებს გეგეუას ოქროპირსა...“ [20, გვ. 370]. მთხრობლის ა. ჭ. გუგავას სიტყვით, „ჩვენნი ვართ წარმოშობით ზემო სვანეთიდან. ყოფილან იქნენ სამე ძმანი. ერი ამ სამ ძმას ფული გაუტეხიათ და დაუწყიათ ღვენა. გამოკეულან. სისხლის აღების შეეშინდათ. ერთი ძმა დარჩენილა ქვემო სვანეთში, მეორე ძმა დარჩენილა აქანე, ლეჩხუმში. ზემო სვანეთიდან გუგავას გვარით წამოვიდნენ“. XIII ს-ის მეორე ნახევრის ძეგლში „მატიანე სუანეთის კრებისაი“ გვხვდება გვარსახელი „გოგანი“ [11, გვ. 137, 153]. შესაძლოა გუგავები ამ გოგანების შთამომავალნი იყვნენ.

სვანეთიდან მიგრირებულან მუშკუდიანეც. მთხრობელის თქმით: „მუშკუდიანები არიან ოყურეშში. ლასურიასში და ოფიტარას. ჩვენი გვარი სვანური წარმოშობისაა. მოსულან უშგულიდან. ძეობიანობის გამო სამი ძმა გამოხიხნულა“ (ნ. მუშკუდიანი-საკვირაძე, 94 წლის, 1986 წ.). XIII ს-ის მეორე ნახევარში მუშკუდიანები არაერთგზის არიან დასახელებული სვანეთის მცხოვრებლად [11, გვ. 141, 158]. დღეს ლეჩხუმში მუშკუდიანი საკმაოდ დიდი გვარია. 1904 წლის მონაცემებით აქ 60 კომლი მუშკუდიანი მკვიდრობდა.

XVI ს-ის ბოლო პერიოდის საბუთში სოფ. ოყურეშს შვიდი კომლი მუშკუდიანია მოხსენიებული: „მუშკუდიანი მახარობელი, მუშკუდიანი გოგანა, ნეფისა მუშკუდიანი, ნასხიდა მუშკუდიანი, მიქაელ მუშკუდიანი, ჯაფარა მუშკუდიანი, მუშკუდიანი ლომენა“ [20, გვ. 371-380]. ზუსტი დროის დადგენა, თუ როდის გადმოსახლდნენ მუშკუდიანთა წინაპრები სვანეთიდან, ერთობ ძნელია, რადგან საამისო წყაროლოგიური წყაროები არ გაგვაჩნია, ხოლო ეთნოგრაფიული მასალებით მიგრაციის მიახლოებითი დროის დადგენა შეუძლებელია, რადგან მიგრაცია საკმაოდ დიდი ხნის წინ არის მომხდარი. XVI ს-ის საბუთში მუშკუდიანების დიდი რაოდენობით მოხსენიება გვავარაუდებინებს, რომ მათი აქ გადმოსახლება XIII—XIV სს. უნდა მომხდარიყო.

სოფ. ქულბაქში (ჯონოულის ხეობა) ბენდელიანები მოსახლეობენ. მთხრობელთა ეთნოცენტრით, ქულბაქში მოსახლე გვარებიდან ყველაზე უწინ ბენდელიანები დასახლებულან. მათი წინაპრები ქვემო სვანეთის სოფ. ხელეღიდან გადმოსახლებულან. 1904 წ. ლეჩხუმში 50 კომლზე მეტი ბენდელიანი მკვიდრობდა. „ბენდელიანების ძველებს რაღაც დაუშავებიათ, უჩხუბიათ და გადმოსახლებულან“ ამავე სოფელში სვანეთიდან მოსულან გასვიანები და ლიპარტელიანები. გასვიანთა ნაწილი ლეჩხუმში სოციალურადაც დაწინაურებულა. ისინი აზნაურები იყვნენ. რაც შეეხება ლიპარტელიანებს, ისინი ბოლო დრომდე ქვემო სვანეთის ჩოლურის თემში დადიოდნენ სალოცავად.

სოფ. საირმეში ცხვედიანები მკვიდრობენ. მათი წინაპრებიც სვანეთიდან მიგრირებულან. ეთნოგრაფიული მასალით, „დანაშაულის

გამო ოთხი ძმა გამოეცალა. ჩვენი განშტოებანი არიან ლაჯანაში, ლაილაში, მაცაშში და ქვეშარში (ჭრებალოს საბეჭო). გადაკეთებულია გვარი თავდაპირველად რა გვარი იყო არ ვიცი". ცხვედიანები სვანეთიდან საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩანან გადმოსახლებულნი. XVI ს-ის საბუთთა ცხვედიანები ლეჩხუმის სოფ. აღვის მკვიდრებად გვეელინებიან: „მართებს აღუს: ცხვედიანს გიორგის"... [20, გვ. 379).

სოფ. ზოგიშში ხვადაგიანები მოსახლეობენ. აქედან ეს გვარი ნასპერსა და მახაშშიც არის გადასული. გადმოცემით ხვადაგიანები ზემო სვანეთიდან გადმოსახლებულან. მესისხლეობის გამო გამოქცეულებს, გვარი შეუცვლიათ. მეორე გადმოცემით, ხვადაგიანების წინაპარი დღევანდელი საჩხერის რაიონიდან გადმოსახლებულა. მათი ადრინდელი გვარი ხვედელიძე ყოფილა. ნიკორწმინდის იადიგარში (1071 - 1080) შრომის ანასხენებია გვარი ჭკადილიანი [20, გვ. 29]. ოკრიბილი და ტყიბულელი ხვადაგიანები ლეჩხუმიდან არიან გადასახლებულნი. ხვადაგიანებს თავიანთ განშტოებად მიაჩნიათ გურანბანიძეები. ორთი გვარის სხვადასხვა წარმოშობის შესახებ ორი გადმოცემა ერთმანეთს არ უნდა გამორიცხავდეს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ცოტა არაა ისეთი შემთხვევები დაფიქსირებული, როდესაც მოსული დამხვდურის გვარს იღებს.

სოფ. ცაგერას ზალკალიანები მოსახლეობენ. ისინი ზემო სვანეთის სოფ. კალადან გადმოსახლებულან. მთხრობელის სიტყვით, „იქ ყოფილა გვარი „ნასკალი". აქანე შეიცვალეს გვარი, ერთი კაცის შთამომაელები ვართ და იმაზე მოვდივართ ზალკალიანები". დღეს სვანეთში გვარსახელი ზალკალიანი საერთოდ არ გვხვდება.

ზემო სვანეთიდან მოსულან ჩხეტიანებიც, რომლებიც ძირითადად ღვირიში, აოვში და ყენაში ცხოვრობენ.

სოფ. ორბელში მკვიდრობენ გურგუჩიანები. მათი წინაპარი ლეჩხუმში სვანეთის სოფ. ეცერიდან მოსულა. გადმოსახლებულებმა გვარსახელს ფონეტიკური ფორმა უცვალეს. სვანეთში გურგუჩიანების წინაპარი გურჩიანის გვარსახელს ატარებდა. გურჩიანის წინაპარს ეთნოგრაფიული მასალებით, დანაშაული ჩაუდენია და ორბელის ზედა კუთხეში - ჩერაში დასახლებულა. სვანები რომ ჩამოსულან სისხლის ასაღებად, ეს კაცი დამალულა. შემდეგ ამ კაცის ცოლისათვის მოსისხლე სვანებს ძუძუები მოუჭრიათ. სამ მოსისხლე სვანს „აკავანით" (ე. ი. აკუნით) ბავშვი გაუტაციათ („ორბელში იმ ადგილს ეხლაც „აკავანი" ჰქვია") გურგუჩიანების წინაპარი გზაში ჩასაფრებია მესისხლეებს და ერთი გასროლით სამივე მოუკლავს, რადგან ისინი ბილიკზე მიდიოდნენ. „ამის შემდეგ აქ გამრავლებულან გურგუჩიანები და ჩვენ და მაგათ ეხლა განსხვავება აღარა გვაქვს, ისე ვართ" (მთხრ. ს. მეგრელი).

სვანეთიდან არიან შიგრირებული გეიდანებიც. მთხრობელის სიტყვით, „ვერ იმრავლეს. ხატზე გადაცემული ყოფილან და იმიტომ

ვერ იშრომელეს. ასე ყოფილა უწინ. მისი პაპა სვანეთიდან ყოფილა გამოქცეული და იქ გადმოსულა სატუნ. რა ეროვნული ჰქონდა ეთ ვერ...“

სოფ. ორბელში მოსახლე ბახსოლიანები მოსული ყოფილან ზემო სვანეთიდან. ისევე როგორც უმეტეს შემთხვევაში, აქაც გადმოსახლებულებს გვარსახელი შეუცვლიათ. უნგრიანი მოხუცებულს მოვუმინოთ: „ჩვენი გვარი არის ძირითადად წამოსული ზემო სვანეთიდან, მულახიდან. მხოლოდ ჩვენი გვარი ყოფილა არა ბახსოლიანი, არამედ ოსელიანი. ისინი სვანეთიდან წამოსულან დადეშქელიანთან მომხდარი შეკვლელობის გამო. სამი ძმა გადმოსახლებულა წყალტუბოში. იქ მოსწონებიათ ადგილი. ისინი ჯიხვის ტყავებში ჩაცმული ჩამოსულან. წყალტუბოში უფროსი ძმა დაქორწინებულა. იქ ოსელიანები ისევაც არიან, ჩვენი გვარის ხალხი. ბატონს მოუხდომებია პირველი ღამის უფლების გამოყენება. უმცროსი ძმას ეს ამბავი დიდ შეურაცხყოფად მიუღია და როცა იმ ღამეს იმერეთის ბატონისშვილი ოთახში უნდა შესულიყო, კარებში სატევარი დაუცია და მოუკლავს. მას მეზობელ ოკვალელი, რომელსაც სახელად ბახსოლია რქმევია იქ აღარ დაუდგენიათ. იგი გამოქცეულა ლეჩხუმში და ვვარიც გამოუცვლია. ბახუ ოსელიანი რომ იყო, დაეერქვა ბახსოლიანად“ (ბალეა ბახსოლიანი 70 წლისა). სხვათაშორის, 1904 წლის მონაცემებით ბახსოლიანების ერთ ოჯახში 39 სული ცხოვრობდა. ასეთი დიდი ოჯახი ლეჩხუმისათვის გამოდაკლისი როდი იყო.

ორბელში სვანეთიდან მიგრირებული სხვა გვარებიც მკვიდრობენ. გადმოცემით აქ უცხოვრიათ მ ე ი ფ ა რ ი ა ნ ე ბ ს ა და მ ა ღ რ ი ა ნ ე ბ ს. რომლებიც დღეს შესაბამისად სოფლებში დეხვირსა და ლაცორიაში მოსახლეობენ. მეიფარიანებსა და მაღრიანებზე არსებობს ასეთი გადმოცემა: ორბელს ზევით მთაზე არის სალოცავი, რომელსაც „ფაოელს“ ეძახიან. ორბელის მკვიდრნი აქ ლოცულობდნენ. იქვე უცხოვრიათ მეიფარიანებსა და მაღრიანებს. აღდგომის დღეს მღვდელი მეიფარიანი წირავდა, როდესაც უთხრეს, რომ მაღრიანის შვილმა თქვენი შვილი მოკლაო, მღვდელ მეიფარიანს ვითომც არ გაუგია ეს ამბავი, რიტუალი ჩაატარა. შემდეგ გაუხდია ანაფორა და ბრძოლა გამოუცხადებია მკვლელისა და მისი გვარისათვის. ურთიერთშემოხლაში ბევრნი დახოცილან. ეხლაც შემორჩენილია ტოპონიმები „სამაღრიანო გორა“ და „სამეიფარიანო გორა...“ მათ შორის მდებარე გორას კი „სამძივარა გორას“ უწოდებენ. „სამძივარა გორას“ იმიტომ უწოდებენ, რომ ხანის გასვლის შემდეგ მტრად გადაკიდებული მხარეები აქ შერიგებულან, სამძიმარი უთქვამთ ერთმანეთისათვის. მაღრიანები და მეიფარიანები სვანეთიდან ყოფილან მიგრირებულნი. გვარი მაღრიანი ლეჩხუმში გვხვდება სოფელ ოსახელოში XVI ს-ში („მართებს მაღრიანსა მიქელსა და მის შვილს გაბრიელს...“) (20 გვ. 376). ხაზგასასმელია, რომ დღეს ეს ორი დასახელებული გვარი სვანეთში არ მოსახლეობს.

სვანეთიდან არიან ჩამოსული გ ვ ი შ ი ა ნ ე ბ ი ც, რომლებიც სვანი გვიჩიანებიდან მომდინარეობენ. ქვემო სვანეთიდან, ჭველიერიდან,

არიან ჩამოსული მუკბანიანებიც. „ბაბუებსაც არ ახსოვთ მაგით ჩამოსული“ — ამბობს მთხრობელი.

სვანეთიდან გადმოსახლებულად მიიჩნევიან ლაჯანაში მცხოვრები გ ე ლ ო ვ ა ნ ე ბ ი, რომლებიც ქვემო სვანეთის სოფ. შკიდიდან ბოლოულას, ლანჩვრენები, სპალაკორები და ფიანსოები გადმოსახლებულ, ლეჩხუმის ერთ-ერთ თავდაპირველ მოსახლეებად მიიჩნევიან. ჩანს, ამ უკანასკნელთა მიგრაცია სვანეთიდან საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა. ეს გვარი თავის დროზე ხომ სვანეთში ერისთავობდა. სპათაგორელი გელოვანები ამ/ბურთა წოდებას მიეკუთვნებოდნენ. ისინი ძალიერთხელ არიან ნახსენები ძველ საისტორიო საბუთებშიც. 1656 წ. საბუთში „შეწირულობის წიგნი გაბრიელ ცაგარიელისა ცაგერის ტაძრისადმი“ ვკითხულობთ: „აწ ეს დასაბეჭდებელი ს

1904 წ. მონაცემებით ლეჩხუმში 80-ზე მეტი კომლი დაეთვალეთ, რომლებიც სვანიძის გვარსახელს ატარებდნენ. სვანიძეების წინაპარი სვანეთიდან მიგრირებულა და რაჭის სოფ. ბაჯში დამკვიდრებულა, რაჭიდან კი ლეჩხუმში გადმოსულან. ეთნოგრაფიული მასალებით, მათი ადრინდელი გვარი ხარძიანი ყოფილა. სვანიძეებში მეორე შტოსაც გამოყოფენ, რომლებიც ძირად მუსელიანები არიან და ისინიც სვანეთიდან მიგრირებულან. სვანეთიდან მიგრირებული მუსელიანები დღესაც ცხოვრობენ სოფ. ჭყვეშში. გვარსახელი მუსელიანი ლეჩხუმში გვხვდება XVI ს-ის საეკლესიო საბუთში (20, გვ. 521), აგრეთვე 1643—1661 წლების საბუთში („მუსელიანი კაცია") [20, გვ. 523]. რაც შეეხება სვანიძეებს, ეს გვარსახელი გვხვდება 1673 — 1690 წწ. საბუთში რომელშიც მიწნიდ დასახელებულია „გიორგი სვანიძე" [20, გვ. 615]. XVI ს-ის საბუთში სვანიძე სოფ. ჩხუტელის მკვიდრად გვხვდება: „მაროვ(ს) სვანიძესა ცოცენასა..." [20, გვ. 375]. 1636-1659 წლების საბუთით იმერეთის მეფე ალექსანდრე III ხოსია ახელედიანს უბოძებს გლეხს ნასხიდა სვანიძეს [13, გვ. 65]. 1736—1737 წლის საბუთით კი სვანიძეებს ოტია დადიანი უბოძებს აზნაურ ხახუტა ასათიანს: „...შეგიწყალე და გიბოძე ცხუკეუშერს ძაღლუა სვანიძე და დათუნა მათი ცოლშვილით, სახლ-კარით; ნაისტულა სვანიძე მისი ცოლ-შვილით"... (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1940, გვ. 468).

ძირად სვანები არიან **ს ა ღ ი ნ ა ძ ე ე ბ ი.** ლეჩხუმში საღინაძეების სამკვიდროა ლუხვანი. საღინაძეების წინაპარი ლეჩხუმში ზემო სვანეთიდან, სოფ. ცხუმარიდან მოსულა. მათი ადრინდელი გვარია საღლიანი. აღსანიშნავია, რომ საღინაძეების გვარს ლეჩხუმში ცალკე საგვარო სალოცავი ჰქონდა, რაც ამ რეგიონისათვის იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. საღინაძეების სალოცავია შტურო მთავარანგელოზი. ეს დღეობა აგვისტოს პირველ კვირას მოდის. ხალხის რწმენით, საღინაძეების სალოცავი და ქვემო სვანეთის უდიდესი სალოცავი ფაყის ორკარიანი, ერთნაირი ძალისაა. ეთნოგრაფიული მასალა: „ანგელოზები სამი ძმანი ყოფილან. აფრენილან. ერთი ფაყში დამჯდარა. მეორე—შტუროზე და მესამე—ჩქუმში და დაარსდა სალოცავები". საყურადღებოა, რომ შტუროზე საღინაძეები ერთ სუფრაზე სხდებოდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ სადღესასწაულო სუფრას ცოლები (ე. ი. სხვა გვარისანი) ვერ გაეკარებოდნენ. საღინაძეების გვარის ქალიშვილებს, სუფრაზე დასხდომა არ ეკრძალებოდათ. შტუროს დღეობის სუფრაზე მსხდომთაგან ყველა საღინაძის გვარის უნდა ყოფილიყო. ხაზგასასმელია, რომ მსგავსი მასალა ლეჩხუმში სხვაგან ვერსად დავადასტურეთ. ეფიქრობთ, რელიგიური დღესასწაულის აღნიშნული სოციალური მხარე. საღინაძეებისა და მათი ხატისადმი სვანეთიდან თან გადმოტანილი მოვლენა უნდა იყოს. ამავე დროს, საღინაძეების დღეობისათვის დამახასიათებელი რელიგიურ-სოციალური მოვლენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მსგავსი მოვლენისაგან განსხვავდებოდა. ცნობილია, რომ

აღმოსავლეთ საქართველოს მოიანეთში ოჯახსა და გვარში მოყვანილ რძალი ქმრის გვარისა და თემის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა.

ლეჩხუმის ერთ-ერთი დიდი გვარია ჩარკვიანების გვარი, რომლებიც პირველად სოფ. წიფურჩში დამკვიდრებულან, საიდანაც შემდეგ სხვადასხვა სოფლებში /ლუხვანო, ჩხუტელი, ოყურეში ლეირიში, ღუ/ გადასულან. ისინი ზემო სვანეთიდან მესიხლეობის ვაშო მიგრირებულან. 1766 წ. საბუთში გვხვდება მოწამე ჩარკვიანი სულა" [12, გვ. 112]. ამ გვარისანი იყვნენ ძირითადად თავადები. აგრეთვე, ამბაურები და ორიოდე კომლი გლეხი. წიფურჩშივე მოსახლეობდნენ თუთუსანები (1904 წ. 26 კომლი)

ზემო სვანეთიდან გადმოსახლებულან კოპალიანების წინაპრები. იქ, ერთ კაცს, რომელსაც ეზობელი შემოკვდომია, დაუტოვებია სოფელი და ლეჩხუმში მოსულა. მას სახელად გოგი რქმევია, რომლის შთამომავლები ახლა კოპალიანების გვარს ატარებენ [1, გვ. 32]. ლუხვანოს გარდა, კოპალიანები სოფ. ზარაგულაშიც მკვიდრობენ. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სხვა გვართან ერთად ლეჩხუმში კოპალიანები გვარგატეხილებად ითვლებიან. მაგრამ საკმარისია ღიუკვირდეთ ეთნოგრაფიულ მასალას კოპალიანთა სადაურობა-წარმომავლობის შესახებ, რომ გვარგატეხილობის პრობლემაც ამ გვარში ფაქტიურად მოიხსნიება. ზარაგულელი კოპალიანები არ არიან საკოპალიანოს (ლუსვანოს) კოპალიანების სისხლით ნათესავები. ზარაგულელი კოპალიანების წინაპრები გურიიდან მოსულან, რომლებმაც, გარკვეული მიზეზების გამო, თაეიანთი ძირი გვარი დამალეს და დამხვდური კოპალიანების გვარზე დაეწერნენ. ამრიგად, ღღეს იურიდიულად ერთ გვარში (კოპალიანებში) ფაქტობრივად ორი სხვადასხვა გვარია გაერთიანებული. გვარსახელს საფუძვლად მამაკაცის სახელი-კოპალა უდევს. სახელი კოპალა ფართოდ გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, XVII ს-ის საბუთში გვხვდება ასეთი სახელით პიროვნება კოპალა სალდაყია [20, გვ. 765] (შდრ. გვარსახელი კოპალეიშვილი გურიაში). საინტერესოა, რომ 1904 წლის მონაცემებით კოპალიანები ლეჩხუმის ყველაზე დიდი გვარი იყო (122 კომლი).

ზარაგულის კოპალიანებში მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის განსაკუთრებული წესი დადასტურდა, განსხვავებით ლეჩხუმის სხვა სოფლებისაგან. მახლობელ ბაბუიშვილებს, ამა თუ იმ ოჯახის პირად საკუთრებაში არსებულ მამულებთან ერთად, ზიარი ადგილებიც ჰქონდათ. ასეთი ზიარი ადგილები მახლობელ ბაბუიშვილებს შორის მონაცვლეობდა ორ წელიწადში ერთხელ. ზიარ ადგილს ორ წელს გაბრიელისანები ერთი ოჯახი დაამუშავებდა, შემდეგ ამავე ბაბუიშვილების მეორე ოჯახი და ა. შ. შემდეგი მეორე ბაბუიშვილობის პირველ, მეორე და ა. შ. ოჯახები ასე მონაცვლეობდა. ამავე სოფელში სათიბების ერთად თიბვის წესი არსებობდა. მთხრობელის სიტყვით, „სათიბები ერთობლივად მოდგებოდნენ და თიბავდნენ და

მერე ოჯახებზე გაიყოფდნენ". ვფიქრობთ, ზემოთ აღწერილი ორი წესი („საზიარო ადგილი" და მისი მონაცვლეობით დამუშავება და ერთობლივი თიბვა) ლეჩხუმში სასოფლო თემის ოდესღაც არსებობის ერთ-ერთი გამომხატველი უნდა იყოს.

ასეთი მდგომარეობა გვქონდა XIX-XX სს. მიჯნაზე და ისიც ერთ სეობაში—ლუხუანთში. მაგრამ ისტორიული საბუთებიდან აშკარად ჩანს, რომ ლეჩხუმში, მის საზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა სასოფლო თემს. საბუთში „შეწირულობის წიგნი გაბრიელ ცაგერელსა ცაგერის ტაძრისადმი" (1565 წ.) ეკითხულობთ: „დათლა თევდორაშვილისა ბეგარა თემისათვის მიმიცემია; მერე ამ თემმან ხუცესსა იმ ცხვარზედ ჩემის სულისთვის ჟამი აწირვინონ და ტყავი საწირავად მისცენ. და იმ თევდორაშვილსა ცაგელელი ნურას სთხოვს" [20, გვ. 520]. კიდევ: „ოყურეშელი მივიდეს გიორგობას დღეს იმ-გლეხისას და მისცემდეს ის გლეხი ოყურეშელს თემს: ერთს კარგს გასუქებულ ტახს, ერთს კარგ ცხვარს, ხუთ გოროს ღვინოსა, ერთს გოროს ღომსა, ერთს თეთრს სანთელსა, ერთ ბიშტის საკმეველსა" [20, გვ. 520].

სოფ. მახაშში ჯამბურიძეები მკვიდრობენ. ისინი XIX ს-ის მეორე ნახევარში არიან გადმოსახლებულნი ქვემო სვანეთის სოფ. შამიდან (ჩოლურის თემი). საერთოდ, ჯამბურიძეების წინაპრები ქვემო სვანეთში სამეგრელოდან მიგრირებულან. მათი ადრინდელი გვარია ჯამბურია. სვანეთში მოსულ ჯამბურიას გვარის ფორმანტი — ია—ძე-თი შეუცვლია. მთხრობელის სიტყვით, „ამით თავიდან აიცილეს მტერი". საერთოდ კი ჯამბურიების გვარი სამეგრელოში ზემო სვანეთიდან გადმოსახლებულა, რომელთა თავდაპირველი გვარსახელიც ჯამბურიანი ყოფილა. ეს გვარი მართლაც არაერთგზის გვხვდება ზემო სვანეთის XIII ს-ის მეორე ნახევრის საბუთში [11, გვ. 142-144].

გაგულიჩში დავითულიანები მკვიდრობენ. მათი თავდაპირველი სამკვიდრო ზემო სვანეთია. აქეთ ქვემო სვანეთიდან არიან გადმოსახლებული ჯანხოთელები.

ზემო სვანეთიდან მოსულებად ითვლებიან ჩხუტელელი მურცხვალაძეები, ეს გვარი დღეს აღნიშნულ სოფელში 70 კომლს (ადგილობრივი გამოთქმით: „70 გლეხის") რაოდენობითაა. ისინი თავს თვლიან სამი ძმის შთამომავლად და საკმაოდ დიდი ხნის დასახლებულნი უნდა იყვნენ ლეჩხუმში. XVI ს-ის საბუთში ჩხუტელის მკვიდრად დასახლებულია „მუცხვატილაძე წიწილა" [20, გვ. 375], ხოლო 1656 წ. საბუთში „მუცხვატილაძე კაცია და გონიერი" [20, გვ. 517]. გვარსახელს ფონეტიკური სახეცვლილება განუცდია: მურცხვალაძე მუცხვატილაძე, რაც დროთა განმავლობაში არაერთ ქართულ გვარსახელს დაემართა.

ქვედა ცაგერში შაკუბულიანები მოსახლეობენ, რომლებიც ქვემო სვანეთის სოფ. ნანარიდან გადმოსახლებულან. მოხრობლის სიტყვით, „ჩვენი უფროსები ნანარში დადიოდნენ სალოცავად". 1656

წ. საბუთიო ლეჩხუმის მკვიდრად გეხვდება, „შკვიბლიანი გონიერი". საყურადღებოა, რომ ამ პიროვნების ძმად დასახელებულია ყრუაშვილის გვარის კაცი: „შკვიბილანი გონიერი და მისი ძმა ყრუაშვილი გიორგი" [20, გვ. 517].

ლეჩხუმში დღეს ბევრი ისეთი გვარია, რომელთა სვანეთიდან მიგრაცია ეჭვს გარეშეა. შეიძლება დავასახელოთ: ღ ო ღ ე ლ ი ა ნ ი, ლ ა ტ ვ ე ლ ი ა ნ ი, ჭ ა ბ უ კ ი ა ნ ი, ა მ ბ რ ო ლ ი ა ნ ი. დასახელებულ გვართაგან არც ერთი დღეს სვანეთში არ მკვიდრობს. საისტორიო საბუთებით აშკარაა, რომ ამ გვარებს ოდესღაც სვანეთში ჰქონიათ საკვიდრებელი. XIII ს-ის შეორე ნახევრის „მატიანე სუანეთისა ერეგბისა"-ში არაერთგზის დასახელებული არიან ეს გვარები [11, გვ. 12-158], იგივე შეიძლება ითქვას ჩიქოვანთა შესახებაც [11, გვ. 137.155]. სვანეთიდან რომ ინტენსიური იყო მოსახლეობის მიგრაცია ლეჩხუმში, ეს კარგად ჩანს ერთი საეკლესიო საბუთიდანაც. 1643-1661 წლების „ცაგერის საყდრის მოაღაპე გლეხების ბეგრის დავთარში" ვკითხულობთ, რომ „აწ ეს გლეხები ამისათვის გავაჩინე მოაღაპედ, რომ ხატის არც ერთი არ იყო, რომელი მეფისაგან ვიშო�d ჩემის... თეთრით და რომელი სვანისაგან" [20, გვ. 526]. ამ გლეხებს შორის კი დასახელებული არიან ისეთი გვარები, როგორებიცაა: გ ი ო რ გ ო ბ ი ა ნ ი, ფ ო ჩ ი ა ნ ი, მ უ ს ე ლ ი ა ნ ი, გ ო ლ ე თ ი ა ნ ი [20, გვ. 523-526].

ახლა ცალკე გვინდა შევჩერდეთ -იან (-ან) სუფიქსიან რამდენიმე გვარზე, რომლებიც, ერთი შეხედვით, შეიძლება სვანეთიდან მოსულებად ვიგულოთ, მაგრამ ისინი დასავლეთ საქართველოს ბარის სხვადასხვა რეგიონებიდან არიან გადმოსახლებულნი. ეთნოგრაფიული მასალებით, ქ ო მ ე თ ი ა ნ ე ბ ი ს წინაპრები სამეგრელოს სოფ. დუდღვაბურიდან მოსულან ლეჩხუმის სოფ. აღვში. წინაპარს სამეგრელოში ბატონი მოუკლავს და გამოქცეულა. ლეჩხუმში ის ბატონ ახვლედიანს მიბარებია. ახვლედიანს ის კენაშში დაუსახლებია, საიდანაც ოყურეშსა და წიფერჩში გადასახლებულან. მთხრობელის თქმით, „სამეგრელოში ჩვენი წინაპრები იყვნენ გვარად ქომითავები".

სოფ. ორბელში ბ უ რ ჯ ა ლ ი ა ნ თ ა დიდი გვარი მკვიდრობს, ეთნოგრაფიული მასალებით, ბურჯალიანების წინაპრები ლეჩხუმში იმერეთიდან, სოფ. ოფჩიდან (ბაღდადის მხარე) მოსულან, სადაც მათ ბურჯანაძის გვარსახელი ფუტარებიათ. წინაპარს მოუკლავს ბატონი, რომელსაც პირველი ღამის უფლებით უნდა ესარგებლა. ლეჩხუმში მოსულმა ბურჯანაძეებმა გვარსახელს ფორმატი უცვალეს-ბურჯალიანად დაიწერნენ, მიანსგავსეს რა ამით თავიანთი გვარი ამ რეგიონებისათვის მახასიათებელ გვარსახელებს -იან სუფიქსით. მთხრობელის ნ ა ტ ა ტ ე ბ ურ ჯ ა ლ ი ა ნ ი ს (87 წლის) თქმით, წინაპართა აქ გადმოსახლების შემდეგ, მისი ჩათვლით, 6 თაობა გასული.

სალეთოდიანოში (იგივე ზიდა ლოხვანო) ძირითადად ლეთოდიანთა გვარი მკვიდრობს (პროფ. ბ. სილაგაძის ცნობით, ლეთოდიანებით დასახლებულ უბანს რუხსაც ეძახიან). მათი წინაპარი ლეჩხუმში სამეგრე-

ლოდან მოსულა. ძირი გვარია თოდუა. მეხრობლის სიტყვით, „ერთ-ადერთი კაცი შემოეხვნა სოფელს და დაეწერა ლეთოდიანად. აქ ტყე ყოფილა და გაუკაფია. წიხაკარი მებატონეს გამოეკცა. სალოცავად დადიოდნენ ილორში“.

-იან სუფიქსიანი კიდევ ერთი გვარი შეიძლება დავასახელოთ, რომელთა წინაპრები სამეგრელოდან მოსულან. ესაა გვარსახელი ლაშყუბიანი. მათი ძირი გვარია ნაშყებია. გადმოსახლებულან სამეგრელოს სოფ. ბანძიოან ლეჩხუმის სოფ. ტალეში. აქ ორი ძმა დასახლებულა. მაგრამ ლაშყუბიანები ერთი ძმის—ლათას შთამომავალნი არიან. მეორე ძმა უძეო ყოფილა. ლაშყუბიანთა გადმოსახლების მიზეზი დადიანებთან კოფლიქტი ყოფილა. ლაშყუბიანები საკმაოდ ღრმა ხნის გადმოსახლებულნი უნდა იყვნენ. ეს გვარი გვხვდება XVI ს-ის საბუთში: „მართებს ლაშყუბიანს გოგანასა...“ „მართება ლაშყუბიანსა კვაკვაკიანს“ [20, გვ. 374].

სოფ. მახაშსა და სანორჩში მკვიდრი არდანიანები გურიიდან მოსულან. დეხვირელი ასამბანების ძირი-გვარია აკობიძე. აკობიძის გვარი ლეჩხუმში 1656 წ. საბუთში გვხვდება: „ერთი ბერი გიორგი აკობიძე იოვაკიმ ნემსაძისაგან ვიყიდე“ [20, გვ. 518].

სანამ გადავალთ ლეჩხუმში მოსახლეობის მიგრაციის საკითხებზე, დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან, მოკლედ არ შეიძლება არ შეეხებოთ ქართული გვარსაბელების „მაწარბიანები -იან (-ან) სუფიქსზე. როგორც ზემოთაც აღინიშნა ფლეს ეს ფორმანტი გვარსახელებს, ძირითადად საქართველოს ორ კუთხეში სვანეთსა და ლეჩხუმში აწარმოებს (გვხვდება რაჭაშიც, სამეგრელოშიც, იმერეთშიც). მაგრამ, როგორც ირკვევა, იგი საერთო ქართული სუფიქსია და ისტორიულად აღმოსავლეთ საქართველოშიც დომინანტობდა. მოგვიანებით კი—შვილი ფორმანტით შეიცვალა. დღეს ხალხურ სამეტყველო ენაში გვარსახელების ხმარებისას-შვილის ნაცვლად -იან(-ან) ისმარება. სუბ-ბარში იტყვიან, არა „სულაშვილი“, არამედ „სულაური“... იგივე ფორ-მანტი აწარმოებს საქართველოს მთასა და ბარში გვარის დანაკოფის სახელებს, ე. ი. მამიშვილობებს [22, გვ. 283; 10, გვ. 40-41].

ლეჩხუმში დიდი რაოდენობით შეიმჩნევა მეგრული ელემენტიც. ამ შემთხვევაში შეიძლება გავიხსენოთ ის ისტორიული ფომენტი, რომ ლეჩხუმი გვიან შუა საუკუნეებში იმერეთის სამეფოს გამგებლობიდან სამეგრელოს მთავართა დადიანთა ხელში გადავიდა, ქვემო სვანეთთან ერთად, XVII ს-ის 80-იან წლებში, მას შემდეგ რაც წარმოშობით ლეჩხუმელი აზნაური ჩიქოვანები, კერძოდ გორდელი კაცია ჩიქოვანი, სამეგრელოს დადიანები, სრული მმართველები გახდნენ [9, გვ. 75; 3, გვ. 64]. მაგრამ ეფიქრობთ, რომ სამეგრელოდან აქ მიგრირებული მოსახლეობა ძირითადად ამ პერიოდამდე უნდა იყოს მოსული.

სოფ. ლასანანში ჭიღვარიები მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, სამეგრელოში სამ ძმას ბატონი მოუკლავს და ლეჩხუმში

გადმოხვეწილან, ლეჩხუმის ბატონთან მისულან და ორი მათგანი ლასხანაში დაუსახლებია, მესამე — ჭყვიშში (რაჭა), სადაც ახლაც მოსახლეობენ. ლეჩხუმში ჭილვარიები ხახსენები არიან 1766 წ. სიგელში: „...მოჯალაბე დაუსახლებინათ ქიხვარია, ძაღლეტა და უღაბნისათვის შეეწიოთ მოსამსახურეთ...“ [13, გვ. 31].

სოფ. ისუნდერში მანდარიები ცხოვრობენ, რომლებიც აზნაურთა წინაშე ყმა მონადგენლები იყვნენ. მანდარიებიც მეფისწულეობის გამო მოსულან სამეგრელოდ ნ (გალიდან) ლეჩხუმში. მოსულა ორი ... ...

ორბელსა და ლასხანაში მ ე გ რ ე ლ თ ა გვარი მკვიდრობს მთხრობელის სიტყვით, „ძველად ლეჩხუმის წინაპრები ორბელში მოსულან სამეგრელოდან. უკლავთ ჩვენი წინადა გვარი. სამი ძმა წამოსულა. ერთი ლაჯანას დაუახლოებია, მეორე - ქოლაბან (ორბელის კუთხეა) და მესამე - ჩერას (ესეც ორბელის კუთხეა)". ოკლავა-მეგრელთა სამეგრელოდან ლეჩხუმში გადმოსახლების მიზეზი ბატონის ბერ პირველი ღამის უფლების გამოყენება ყოფილა. მთხრობელის სიტყვა მკვლელის თქმით, „თამარ მეფის დროს არის ჩვენი გვარი აქ მოსული. მაშინდელი გამოქცეულნი არიან. ასეა თქმულება.

საბურხაყაოდან მიგრირებულან ღ ო რ ტ უ მ ა ლ ი ძ ე თ ა წინაპრები. ღოლს ისინი ძირითადად ლეჩხუმის სოფელ ნასპერეს ცხოვრობენ. ილორიდან სამი ძმა წამოსულა. ერთი გვერდაში წასულა. მეორე — სამეგრელოში, ბაბუაშვილის ხიდზე და მესამე—ლეჩხუმში, რომელნი შთაბეჭდილები [illegible] ბერძნულიანები. ბერძნულიანები და ღორტუმალიძეები [illegible] ბატონებს. საბურხაყანოდან სამი ძმის გამოქცევის მიზეზი ბატონის ბერ პირველი ღამის გამოყენების უფლება ყოფილა. ღორტუმალიძეები [illegible] ილორში.

სამეგრელოდან ძოსლილად თვლიან თავს სოფ. ესკალიერში მოსახლე თ ო თ ა ძ ე ე ბ ი. თოთაძეები ძირითადი თოდუები ყოფილან. მთხრობელის სიტყვით, „თავადი დადიანი ჩვენს ძველს მოუკლავს, შემოსიზნულა ღ ა ს ი ბ ა ს ი ვ ე ყოფილა აქ გვარი და შეუსიზნებიათ. გადაკეთა გვარი, გამოქცეულები რომ იყვნენ".

ლეჩხუმში გავრცელებულია გვარი ლ ე შ კ ა შ ე ლ ი. ღოლს ისინი ძირითადად ლაჯანას ცხოვრობენ. სამეგრელოდან წამოსული ლეშკაშელების წინაპარი დასახლებულა სოფ. ლეშკაში (ლეგს ნასოფლარი ლაჯანურის ხეობაში), სადაც ეს მიეიღეთ საფაყრობის მაწარმოებელი გვარსახელი ლეშკაშელი. შემდეგ ლეშკაშელები გადასახლდნენ ლაჯანაში, ორბელში, სპათაგორში და ღუნი. ლეშკაშელთა ძირი — გვარია ბერიძე. ლეშკაშელთა სამეგრელოდან ლეჩხუმში მოსვლის მიზეზი პირველი ღამის უფლების გამოყენების მცდელობა ყოფილა ბატონის მხრივ. ოთხი ძმანი ყოფილან. უმცროს ძმას კონსტანტინეს ცოლი რომ მოუყვანია, ოთვალს ის შეუყვარებია. კონსტანტინეს თავი მოუკლია თავადისათვის. ისე რომ ამ უკანასკნელს გულის წადილი ვერ შეუსრულებია. 1766 წლის ერთ-ერთ საბუთში ლეჩხუმში ეოწმედ გვხვდება „ლეშკაშელი ნასია" [12, გვ. 112].

ლეჩხუმის ძველოლის თ ო ბ ა ვ ი ა ლ ა ს წ ი ნ ე ბ ი, შეიძლება ვიფარაფოთ სამეგრელოდან ლეჩხუმში მოსახლეობის მიგრაციას ორო. XVII საუკუნის 80-იან წლებამდე ლეჩხუმი იმერეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ კი დადიანებს ეიერჩრჩილა. სამეგრელოს მოსახლეობა ლეჩხუმში XVII ს-ის შუა ხანებამდე ენდა იყოს მოსული. რაიონან ყოფილა მასალით მეგრელთა აქ ბიგრაციის მიზეზი კლასობრივი წინააღმდეგობა ყოფილა. XVII ს-ის მეორე ნახევრიდან ლეჩხუმში სამეგრელოს

ნაისაბლეობის აქ მიხედვით მიგრაცია ნაკლებ შესაძლებელი იქნებოდა.

ლეჩხუმი ცხენისწყლისა და რიონის ხეობებით უშუალოდ ემეზობლება ქვემო იმერეთს. ენათმეცნიერებიც ხომ ბევრ საერთოს და მსგავსებას პოულობენ ქვემო იმერულსა და ლეჩხუმურ დიალექტებს შორის (7:16). თაკვერ-ლეჩხუმის ქართველიზაცია თავის დროზე ამ გზით უნდა წარმართულ ყო. იმეიუული მოსახლეობის ფენაც ლეჩხუმში საკმაოდ გვხვდება.

სოფ. ჩხუტელში კვირიკაშვილები მოსახლეობენ, რომელთა წინაპარი აქ იმერეთიდან, ბაღდადიდან მოსულა. ეთნოგრაფიული მასალით, მათი წინაპარი აქ ჩასიძებულა და შემდეგ უმრავლეთ. ქარსელაძის ქალზე ჩასიძებულა ბაღდადიდან მოსული ხოხონე. „10—12 თაობა იქნება, რაც ჩვენი წინაპარი ჩხუტელში მოვიდა“.

სოფ. ზუსში მოსახლეობენ ძიძილეთი იმერეთის სოფ. ძეძილეთიდან (დღევანდელი ხონის რაიონი) გადმოსახლებულან. სამი ძმა ყოფილა. ბატონი მოუკლავთ. ერთი აჭარისაკენ წასულა, მეორე ლეჩხუმში. ძეძილეთში ბევრიძეები დღესაც მოსახლეობენ.

იმერეთიდან მოსულობას ამბობენ მამარდაშვილები (სოფ. ოყურეში). 1904 წ. ოყურეშში მამარდაშვილების 36 ოჯახი მკვიდრობდა. მამარდაშვილები თავიანთ ძირ — გვარად ლორთქიფანიძეს ასახელებენ. ისინი ლეჩხუმში საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩანან დასახლებულნი. XVI ს-ის საბუთში სოფ. ოყურეშში მოხსენიებულია „მამარდაშვილი კახნია“ [20, გვ. 379]. ეს გვარი 1656 წ. საბუთშიც გვხვდება: „აგრეთვე კიდევ ბატონმა გიორგიმ გვიბოძა ოყურეშს: მეთევზე ერთი ბლეები მომარდაშვილი ხუცესი ბიო და მისი ძმა მათვალა. ერთი გლეხი მომარდაშვილი ლომია ბატონის მეფის წყალობა“ [20, გვ. 517].

სოფ. ალპანაში ჯანაძეები ცხოვრობენ. მათი წინაპარი ჟონეთიდან (ქუთაისის თავზე) მოსულა. პირველი ღამის უფლებას შეეწინააღმდეგებელ ორ ძმას ბატონისათვის თავი მოუჭრია. მათი ადრინდელი გვარი ჯანელიძე ყოფილა. ჯანელიძე კი იმერეთის ერთ-ერთი ძველი გვარია. მაგალითად, 1570 წლის საბუთში ისინი ნახსენები არიან წყალწითელას [20, გვ. 276]. ჯანაძე — ჯანელიძეთა ჟონეთიდან ლეჩხუმში მიგრაციის დამადასტურებელი საეკლესიო საბუთიც გაგვაჩნია: „ეკანეთს ჯანელიძე ოტია და მისი შვილი მეფემ ალექსანდრემ მიბოძა„ [20, გვ. 518]. საბუთი 1656 წლისაა.

ლეჩხუმში სოფ. საირმეში მოსახლეობენ ხუციძეები იმერეთიდან, ვანიდან მიგრირებულან.

აღვში მოსახლეობენ ჯიაძეები დღევანდელი წყალტუბოს რ-ის სოფ. დედალაურიდან მოსულან. იმერეთიდან მიგრირებულან აბაშიძეებიც, რომლებიც აქ გლეხები ყოფილან. ისინი სოფლებში ლაკორიასა და წილამიერში მკვიდრობენ.

ხეცურიანთა დიდი გვარიც (1904 წ. ლეჩხუმში 100 კომლამდე ხეცურიანი მკვიდრობდა) იმერეთიდან მიგრირებულა. აქ იმერე-

თიოან ბატონის მოკლის გამო სამი ძმა შემოსიმნულა, რომლებიც ლვიორეში, ლასურიაში და წოჯერჩაში დასახლებულან.

შეინიშნება მოსახლეობის იმერეთიდან მოსახლეობის მიგრაცია და განაპირა სოფლებიდან გვარების ლენინგორის სიღრმეში გადმონაცვლება. მაგალითად, ზუბში მოსახლე ჯანელიძეები სოფელ კინჩიდან არიან, რომელთა ძირი გვარიც გარდაყანიძე ყოფილა. ერთ — ერთ ძმას კინჩაში თაკალი ჩიქოვანი მოეკლავს. სამი ძმა (სვანელი, ყანელი, ლიბენე) სოფ. ზუბში დამკვიდრებულა. ჯანელეს ჯანელიძისათვის მიუცია დასაბამი, სვანელეს - სვანელიძისათვის, ლიბენეს კი ვაჟი არ ჰყოლია.

კინჩიდან არიან კუხალაშვილებიც (სოფ. ისუნდერი). მექვენიდან (დღეს წყალტუბოს რაიონში შედის. მექვენა „სახლვარია" ლეჩხუმსა და იმერეთს შორის) გადმოსულან ბასძელაძეები. ბასძელაძეები რაიონის ხეობის სოფლებში ტვიშში და ორხვში მკვიდრობენ.

იმერეთის სოფ. ნამახვანიდან გადმოსახლებულან სიმსიველები, რომლებიც ძირითადად ახლა ლეჩხუმის სოფ. ფსახელოში მკვიდრობენ, ჩანს, სიმსიველებს დროთა განმავლობაში ლეჩხუმში საცხოვრებელი ადგილი უცვლიათ. XVI ს-ის საბუთით სიმსიველები ლახეფას (სიმსიველ გიორგი, სიმსიველ სულთანა, სიმსიველ ხუდია) და ოყურეშის (სიმსიველ კოკია) მცხოვრებნი ჩანან [20, გვ. 377-379].

ლეჩხუმში გურია — აჭარიდანაც მოსულან მიგრანტები. ზემოთ ერთი ასეთი გვარი — არდანიანი უკვე გვქონდა დასახელებული. სოფლებში: ლახეფაში, ისუნდერში და ზუბში ჩაკვეტაძეები მკვიდრობენ, რომლებიც აჭარიდან მოსულობას ამბობენ. გადმოსახლების შემდეგ გვარს ფონეტიკური ცვლილება განუცდია: ჩაკვეტაძე ჩანკოტაძე. ჩაკვეტაძეების გვარი ლეჩხუმში დიდი ხნის დასახლებული ჩანს. XVI საუკუნის ბოლო პერიოდის საბუთში სოფ. ლახეფას დასახელებული არიან საეკლესიო გლეხები: „ჩაკოტაძე ნასხიდა, ჩაკოტაძე ნანიტა, ნასხიდა ჩაკუტაძე, ჩაკუტაძე თაკია, ჩაკუტაძე გიორგი" [20, გვ. 377-378].

ოფიტარასა და ოყურეშში გიორგელიძეები მოსახლეობენ, რომელთა წინაპრებიც აქ გურიის სოფელ ხიდისთავიდან მიგრირებულან. ოღონდ სხვა ბევრი გვარების მსგავსად მათ გვარსაც ფონეტიკური ცვლილება განეცდია. გურიაში ისინი გიორგიბერიძის გვარსახელს ატარებდნენ. ეს გვარიც დიდი ხნის დასახლებულად ჩანს ლეჩხუმში. ზემოთ არაერთგზის მითითებულ „ცაგერის საყდრის გამოსავლის დავთარში" (XVI ს.) ოყურეშის მკვიდრებად გვხვდებიან: „თუთია გიორგბერიძე", "გიორგბერიძე მამისთვალი" და „ეფრემ გიორგბერიძე" [20, გვ. 379-380]. დღეს გვარსახელი გიორგბერიძე გურიაში აღარ გვხვდება. ეთნოგრაფ გ. ცეცხლაძის მიერ მოწოდებული მასალით გურულ გოგიბერიძეებსაც ადრე გიორგბერიძის გვარსახელი ეტარებიათ.

აღმოსავლეთ საქართველოდან მოსულობას ამბობენ კენჭაძეები, რომლებიც ორხევში, ლახამულიაში და ჭყეიშში ცხოვრობენ.

ნასპერში ირემაძეების გვარი მოსახლეობს. ეთნოგრაფიული მასალებით, „ირემაძეები სამხრეთიდან არიან მოსული". ერთმა მთხრობელმა „სამხრეთი" აბსოლუტურად დააკონკრეტა, ხოლო მეორემ - მესხეთად. ირემაძეების წინაპარს „აცი მოუკლავს, გაქცეულა და შემდეგ აქ გამრავლებულან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ლეჩხუმში მოსახლეობის მიგრაციის ალბათ თვალსაზრისის და აქ ასლანის ძალადობის პირიქით უნდა უკავშირდებოდეს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის მიგრაციის ფაქტები ხომ არა ერთია დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებში.

რაჭა. ლეჩხუმის უშუალო მეზობელი კუთხეა და ბუნებრივია, რომ ამ ორ კუთხეს შორის მიგრაციული პროცესები ისტორიულად მიმდინარეობდა. რაჭაში და ლეჩხუმში ერთი და იმავე გვარის წარმომადგენლებიც მკვიდრობენ.

ლიალაში მოწონელიძეები მოსახლეობენ, რომლებიც ღვარდიდან მოსულან. ღვარდია დღეს ამბროლაურის რაიონში შედის, მაგრამ ისტორიულად ლეჩხუმს ეკუთვნოდა. ფრუიძეების გვარი ლეჩხუმშიც მოსახლეობენ და რაჭაშიც. ეგვე შეიძლება ითქვას ცხვედიანების, გიორგბიანების შესახებ. რაჭიდან მოსულობას ამბობენ გზობაევები და კეკუტიები.

რაჭიდან არიან მიგრირებულნი ნასპერელი ვაჩაძეები. რომლებიც მაჩხოეში მოსულიან თავად ახვლედიანია ცოლს რაჭის ერისთავისაგან. რაჭაში ვაჩაძეების სოფელია ლადიში. უსასელოში მოსახლე ჯაფარიძეთა წინაპარიც რაჭიდან, სოფ. შარდომეთიდან მოსულა.

რაჭის სოფ. ღვედიდან არიან მოსული გოდერიძეები. რაჭიდანვე გადმოსახლებულან გოდოლაძეები (სოფ. ქორენიში). რაჭაში დღეს მოსახლე გორდეზიანები ლეჩხუმიდან წასულებად ითვლებიან. ლეჩხუმში ისინი გორეზიანის გვარს ატარებდნენ, რომლებიც დღესაც მოსახლეობენ სოფ. ტვიშში.

რაჭიდან უნდა იყვნენ აკობიძეები, არჩვაძეები და ნემსიწვერიძეები. 1656 წ. საბუთში წერია, რომ „ელეხი გიორგი აკობიძე ივანეკიმ ნემსაძისაგან ვიყიდე; ერთი ბლეხი არჩვაძე ივანე ბუღია ყიფიანისაგან ვიყიდე; ერთი ბლეხი ნემსწვერიძე კავია და მისი შვილი და მისი ძმაწულები ელეან ყიფიანისაგან ვიყიდე. "[20, გვ. 518] ნემსაძეები და ყიფიანები კი, როგორც ცნობილია, რაჭის აზნაურები იყვნენ. 1639-1659 წლების საბუთში ალექსანდრე III-ის წყალობის წიგნში გიორგი და ხოსია ახვლედიანებისადმი ნემსწვერიძეები ტვიშის მკვიდრებად არიან მოხსენიებული: „გიბოძეთ... ტვიშს იონა ნემსწვერიძის შვილი ბლეხი"... [13, გვ. 64].

აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობის მიგრაციის შე-

სწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისა აღმოჩნდა მოსახლეობის სალოცავებთან დამოკიდებულება. ხშირად გადმოსახლებულებს ან მათ შთამომავლებს სალოცავის ნიში გადაჰქონდათ ახალ საცხოვრებლში, ანდა წინაპართა სალოცავში დაელოდნენ სალოცავად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის მოძრაობის შესწავლის ეს ხერხი ლეჩხუმში ნაკლებად გამოსაყენებელია. ჯერ ერთი, აქ მოსული მოსახლეობა ძირითადად ნესტორიანელობისა და კლასობრივი იძულებით ნაკლებად მოსული და ამ მიზეზით გადასახლებულებს ნაკლებ გადაეტანათ სალოცავის ნიშანი და ვერც ძველ საცხოვრებლში გაბოროტებულნენ სალოცავად. ეკრეთვე, ლეჩხუმში ფეოდალური ურთიერთობის პირობებში ნაკლებად იყო საგანგებო სალოცავები და ისიც იმ შემთხვევაში თუ სოფელი ერთ გვარად იყო დასახლებული. ასეთი სოფლები ნაკლებად იყო ლეჩხუმში. აქ პრიორიტეტი შერეული გვარებით დასახლებულ სოფლებს ეკუთვნოდათ, რაც ძირითადად ადგილ რეგიონალური გადასახლებებით იყო გამოწვეული.

საგანგებო სალოცავები ქონდათ სალეხაურებს - „შტორო მთავარანგელოზი", ბოპალიანებს—ნაგომარის ეკლესია, ნასპერში—ახველედიანელთა სალოცავი (ეიორგოპალ ქვასე ანთებდნენ სანთელს). ლალალანში ხეცურიანების ცაცვის ხე (დღეობა „ცოს სკრობა"). ერთი გვარი, უგრეველიძეებთან ერთად ოსახლობდა სოფ. ლეჩხუმი (ალბათ და სამწყვდევ ადგილს ნიშნავს, იქვე სოფ. ოფიტარა, რომელიც მეგრული ენით ისსენიება). ეს გვარი ლეჩხუმში XVI ს-ის საბუთში გვხვდება, ოღონდ „უგრეხელაშვილის" ფორმით.

ლეჩხუმში ბევრი ისეთი გვარიც გვხვდება, რომელთაც ორა ანალი გადმოცემები მოსულობის შესახებ, ანდა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ასეთი მასალები. შეიძლება დავასახელოთ: ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ე ბ ი (ამ გვარის მატარებელნი იყვნენ ბალეხები, ასნაურები და თავადები). ო მ ა ნ ა ძ ე ე ბ ი, ბ ა ს ძ ა ლ ა ძ ე ე ბ ი, უ ვ რ ე ხ ე ლ ი ძ ე ე ბ ი, კ ვ ა ტ ი ტ ე ბ ი, ს ი ლ ა ვ ა ძ ე ე ბ ი, ა ლ ა ვ ი ძ ე ე ბ ი, ს ა ნ ი კ ი ძ ე ე ბ ი, ბ ლ ა ძ ე ე ბ ი, და სხვა. ზოვიერთი ეს გვარი ლეჩხუმში XVI ს-ის საბუთში გვხვდება: ს ი ლ ა ვ ა ძ ე ე ბ ი, ყ რ ე ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, უ ვ რ ა ნ ა ლ ე ბ ი, ტ ვ ი ლ ა ფ ა ნ ა ლ ე ბ ს და ყ ვ ა ბ ა შ ვ ი ლ ე ბ ს ს ა ე ბ ი ო ფ ა ნ ა ლ ე ბ ს (ა ქ ვ თ. პირველნი ანალიანების წრეს ეკუთვნოდნენ). ქ ა ო ს ე ლ ა ძ ე ე ბ ი, ა(ნ) ბ რ ო ლ ი ა ნ ე ბ ი, ბ ი ო ო ბ ო ბ ა ნ ე ბ ი. თ ე ბ ლ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ე ბ ი, ა ბ ბ ა ს ლ ი ა ნ ე ბ ი და ჩ ი ქ ო ვ ა ნ ე ბ ი სვანეთიდან უნდა იყვნენ მიგრირებული. ეს გვარები XIII ს-ში სვანეთში ცხოვრობდნენ (11, გვ. 137, 147, 155).

საინტერესოა საბუთებით ლეჩხუმში მყოფ ბრონნენ ინანაიძ ე ე ბ ი (ამ გვარსახელის მატარებელნი ფართოდ იყვნენ განსახლებულნი სამცხეშიც), რომლებიც ლეჩხუმის ზედაფენის ერთ-ერთი წარმომადგენლები იყვნენ. ნასპერში, მურცხვალაძეების ეზოში, დღესაცაა შემორჩენილი ციხე, რომელსაც თვალია ინანაიძის ციხეს უწოდებენ. სოფ. საირმეში, სოფლის თავში ბდებარე სახნავ მიწას „ინანა-

რიძის 5 მისახლარი" ქვია. [1, გვ. 16]. ინასარიძეების ერთ-ერთ სამფლობელოს ლაბეკენი წარმოადგენდა. საერთოდ, ისინი რიონის ხეობის ლეჩხუმის მფლობელები იყვნენ (1, გვ. 16). ინასარიძეები ლეჩხუმის დიდი ფეოდალები ყოფილან და მათ გამგებლობაში მყოფი ლეჩხუმის ტერიტორია („საინასარიძეო") დანარჩენ ლეჩხუმსაც უპირისპირდებოდა. 1701 წ. საბუთში „გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნში ეკითხულობთ: „ჩვენ თქუენ მიერ გამდიდრებულმან ღვთივ აღმატებულმან ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელმან, ლ ე ჩ ხ უ მ ი ს ა დ ა ს ა ი ნ ა ს ა რ ი ძ ო ს (ხაზი ჩვენია, რ. თ.) მეჩირაე მქონებელმან, იმერეთის სარდალმან და თავმან, სულ სვანეთის კლიტემან ოადიან ლიპარტიანმა გიორგიმ" (13, გვ. 86). ლეჩხუმში XIII—XIV სს. ეკლესიის წარწერაში გვხვდება ეს გვარი: „აღვაგეთ ეკლესია ესი ჩუენ ინასარიძემან გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩხეტიძის ქალმა ანამ ..." (9, გვ. 14). ინასარიძეები მოხსენიებულნი არიან XVII ს-ის წარწერაშიც. დღეს ეს გვარი ლეჩაუმში საერთოდ აღარ გვხვდება. ვვარაუდობთ, რომ ინასარიძეების წინაპრები ლეჩხუმში სვანეთიდან უნდა იყვნენ მოსული. XIII ს. სვანეთში გვხვდება გვარსახელი „ამნასარიანი" [11, გვ. 118]. ფონეტიკური ცვლილებით სრულიად შესაძლებელია ამნასარიანისაგან ინასარიანი და შემდეგ ინასარიძე მიგვეღო. მართლაც, იმავე სვანეთის ერთ-ერთ საბუთში, რომელიც XIV ს-ის ბოლოთი და XV ს-ის დასაწყისით თარიღდება, მოხსენიებულია ი ნ ა ს ა რ ი ძ ი ა ნ ი ფურთუხუ [11, გვ. 118].

ინასარიძეების მსგავსად, დღეს ლეჩხუმში ვეღარ შეხვდებით გვარსახელს — ქ ვ ა ტ ი ტ ი. 1904 წლისათვის ისინი აქ კიდევ იყვნენ მცირე რაოდენობით. გვარი აღგილობრივ გარემოში უნდა იყოს წარმოქმნილი თაკუნისაგან: ქ ვ ა ტ ი (ქ ვ ა ტ ა) რაჭულ — ლეჩხუმურში შინაური ინვენტარი სახელწოდებაა [4; 15]. არის მეორე ვარიანტიც: აქვე ქ ვ ა ტ ი ტ ა თავრეკვლა ნიშნისმიერ [4]. მეორე ვარიანტის მიხედვით ქვატიტი ოსურად ნიშნავს გვარსახელი ჩანს. ადამიანის, როგორც ჩანს, გვარის საფუძველჩამყარელის ფიზიკური ნიშან-თვისება გვარსახელად ქცეულა (შდრ. გვარსახელი ბუთხუზი მთიულეთისა და ქსნის ხეობაში, კროჟი-იმერეთში).

გადმოცემით, ლეჩხუმის ერთ-ერთი აზნაურული გვარი იყო ლ ა ი შ ხ უ რ ი (შესაძლოა მიღებული იყო ლაშხისაგან). ეს გვარსახელიც დღეს ლეჩხუმში აღარაა. მ. ალავიძის მიხედვით, ისინი ფლობდნენ ლაილაშა, თაბორს და სურმეშს. ამ აზნაურს სამი ვაჟი ჰყოლია. უმცროსი გაძიძავებული ყოფილა სოფელ ბუყალაში გლეხ ბაკურაძესთან. ლაიშხურს დადიანთან კონფლიქტი ჰქონია. დადიანმა იმდენი მოასერხა, რომ მაგა შვილებს მოაკვლევინა. შემდეგ კი მისი შვილები თავად აღოხოცა. გადარჩა მხოლოდ გაძიძავებული. ძიძა ბაკურაძემ ბავშვი თავის გვარზე დაწერა. რაკიგან შეეშინდა დადიანი ამასაც ცოცხლს არ დატოვებსო. ეს ვაჟი დავაქაცდა. დროც შეიცვალა და მან ოადიანის შვილს მამულის დაბრუნება მოსთხოვა. დადიანმა მას ყველა

უფლება აღუდგინა. ასევე გაჩნდნენ ლეჩხუმში გლეხ ბაკურაძეებთან ერთად, აზნაური ბაკურაძეები [1, გვ. 20-22]. მართლაც, 1904 წ. დემოგრაფიული მონაცემებით ლეჩხუმში განსახლებული (სოფ. სურმეში და ბეყაღა) ბაკურაძეების 18 კომლიდან ორი კომლი აზნაური იყო.

ლეჩხუმის ერთ-ერთი ძველი გვარია ქ ა რ ს ე ლ ა ძ ე. ე. თაყაიშვილის გამოვლენილი წარწერებითა და მონაწერებით ამ გვარის წარმომადგენლები ოჭრომეშედლები ყოფილან [9, გვ. 38-12]. 1600 წ. [illegible] წერაში ეს გვარი სამნაირი ფორმით (ქაველაძე, ქასელაძე, ქარსელაძე) არის წარმოდგენილი. ლეჩხუმში დიდ გვარებს მიეკუთვნებიან ე ფ ს ვ ა ნ ი ძ ე ე ბ ი (ცხრეში 1904 წ. 23 ოჯახი) და ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ე ე ბ ი (ლაბეჯინაში 20 კომლი).

ლეჩხუმის ძველ გვართა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ს ი ლ ა გ ა ძ ე ე ბ ი. 1904 წ. აქ 90 — მდე კომლი ამ გვარის წარმომადგენელი აკვიდრობდა. XVI ს. ჩხერელში სახლობდა „სილაკაძე" [20, გვ. 375]. ლეჩხუმში ნანახი ერთ-ერთი ხატის წარწერაზე ე. თაყაიშვილს ამოუკითხავს: „ამ წიგნის შემამკობი ადამ სილაგაძე" (9, გვ. 39). 1757 წლის ერთი საბუთით ოდიშის დედოფალი თამარი სოფ. წიფურეში ჩარეულ ანისეულ საამოსახლო ადგილზე ასაშენებს ობოლ ძმებს: იოანე და ალექსანდრე სილაგაძეებს [13]. იგივე შეიძლება ითქვას ო ბ ო ლ ნ ი ა ნ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ. ე. თაყაიშვილს მთავარანგელოზის ხატის წარწერაში ამოუკითხავს „ლეონ დადიანის ქარის მღდელი ანნაური ბავლი გორგის ძე ლაბინანი" [9, გვ. 37]. ეს გვარი 1656 წ. საბუთში დასტურდება, ფეოდალურად XVI ს-ის საბუთში იხსენიებიან გვესოელი ც ვ ა რ ი ა ნ ე ბ ი [20, გვ. 375].

საისტორიო საბუთების მიხედვით ლეჩხუმში ისეთ გვარებსაც ეცნობოვრით, რომლებიც ოდეს აქ

ბით ნაწილობრივ ხელახლა ასახელეთ საქართველოს მთიანეთის ამ რეგიონიდან ბარში მოსახლეობის მიგრაციისათვის თვალყურის გადევნება. 1656 წ. სიბეთში „შეწირულობის წიგნი გაბრიელ ეპისკოპოსისა ხევსურეთ ეკლესიისაგან" ეკითხულობთ: „ასე, რომ: ის ალაგი ოდიმს რომ ქვარიანი არის, ძველად იმისი ყოფილა, ტყედ და უკაცურად იყო (ხაზი ჩვენია, რ. თ.) და მე გავაკეთე. ვინ იცის, რომ სალაპარაკოდ გახდეს, ამ ქვეყნის ქვარიანს იმასთან, ველი არა აქვს, ამისათვის, რომ თუმცა მე არა, ასეთი დრო იყო, ის ალაგიც და სრულათ ოყურეში სადადიანოდ შეიქმნებოდა" (20, გვ. 522). კიდევ: „აწე ეს ხატისა ალაგი იყო. სასახლე, ოდიმს. რომ ქვარიანი იყო, იმის დანარჩომი იყო (ხაზი ჩვენია, რ. თ.) ადგილ ტევრი, ესოდენი და მეფემ გიორგიმ მიბოძა" [20, გვ. 519]. მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი ხევსურეთის ეკლესიას სწირავს სოფელ ოყურეშში ოდესღაც მოსახლე ქვარიანის მიწა-წყალს, რომელიც ახლა ოდიმში ცხოვრობს. ამავე სიბეთში ისიც ჩანს, რომ სხვა ქვარიანები ლეჩხუმში ამ პერიოდში კვლავ ცხოვრობდნენ. 1904 წლისათვის ლეჩხუმში სამი კომლი აზნაური ქვარიანი დერჩში და ორხევში შეგვიდრეებოდა.

1770 წ. სიბეთში გურიაში მოხსენიებულია „ასკანის ბოურაგი ასათიანი ივანე, მისი ძმა პეტრე" [12, გვ. 147]. გურული ასათიანებს კი გადმოცემა აქვთ ლეჩხუმიდან გადმოსახლების შესახებ.

გურიაში ცხოვრობს გვარი გორდელაძე. ეს გვარსახელი სადაურობის ტიპის გვარსახელია რიცხვს მიეკუთვნება და ლეჩხუმის სოფ. გორდს უნდა უკავშირდებოდეს (გორდ — ელ (ა) — ძე).

1569 წ. სიბეთში „შეწირულობის წიგნი იმერეთის მეფის გიორგი II-ისა იმერეთის სოფ. ჩუნეშში მოხსენიებულია გლეხი „ცხუკურელაძე ანალრდაი" [13, გვ. 18]. გვარსახელი ცხუკურელაძე კი, ვფიქრობთ, ლეჩხუმის სოფელ ცხუკუშერს უნდა უკავშირდებოდეს (ანდა ქვემო იმერეთის სოფ. ცხუნკურს), (ცხუკურელაძე — ცხუკუშერლაძე).

1644 წ. სიბეთში „შეწირულობის წიგნი ზაქარია ქვარიანისა ბელოთოსანში" ეკითხულობთ: „ამას გარეთ ვიყიდეთ ჭოლევს ბერძნას ჩხეიძისაგან სამი გლეხი მათის მამულითა და ცოლ-შვილითა: მოშიტა ოყურეშლიძე, კუამლი ერთი, ხახუტა ოყურეშლიძე კუამლი ერთი..." „ამას გარეთ ქიდევ გვიბოძა ჩვენმა გამზდელმა ბატონმა მეფემ გიორგიმ ფეშქაშათ იქვე ჭოლევს გაქსახურდი ოყურეშლიძე და მისი ძმის წულები გიორგის შვილები. კუამლი ერთი" [20, გვ. 509-510]. 1621 წ. „ათხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალ მოსაკრებლობის დავთარში" სოფ. ბუეთში ნახსენებია ვარსიმე ოყურეშლიძე [20, გვ. 651]. ოყურეშლიძე სადაურობის ტიპის გვარს მიეკუთვნება. ამ გვარის ფუძემდებელი ლეჩხუმის სოფ. ოყურეშიდან უნდა წარმომავლობდნენ. გვიან გვარსახელმა ფონეტიკური სახეცვლილება განიცადა: ოყურეშლიძე ოყურშიძე.

ლეჩხუმიდან არიან მიგრირებული იმერელი შილაკაძეები

(ჩხარი), რომელთა ნაწილი შემდეგ გერიაში (სოფ. შენოკოდი) გადასახლებულა. შილაკაძეები ლეჩხუმელი სალგანელების [illegible] ტომის [illegible] ბარიანი: ოვანეი ითქმის ბიგრიელ სალგანელებსა და სალოგელებზეც.

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ლეჩხუმელან უნდა მომდინარეობდეს სა[illegible] [illegible] [illegible] [

ჩვენი ქალაქები. მოსახლეობა (მათ შორის, სვანები) ეკონომიკურად ფეოდალური ყოფა-ცხოვრებისა და ბაზრიან, რომლის ერთი — ერთი დამადასტურებელი ისიცაა, რომ სვანებს ვენახები ჰქონდათ ლეჩხუმში (მაგალითად, სოფ. ორბელში), რომლებსაც თვით ლეჩხუმელებს ამეშავებინებდნენ (ბ. სილაგაძის ცნობა). ეკონომიკური კონტაქტები აისახა ტოპონიმიაშიც. ჯინოულის ხეობაში ამის მოწმობას სიტყელი ქულბაქი. ქულბაქიდან ძახის მთაზე გადასასვლელი გზაა სამეგრელოში. ჩანს საეკლესიო ეკონომიკური ურთიერთობა ლეჩხუმელ - ქვემო სვანებისა სამეგრელოსთან ქულბაქის გზით ხორციელდებოდა.

ზოგიერთი რაკ ლეჩხუმში გავრცელებული ეკუთვნი სახელების ეთნოგრაფიიდან. 1904 წლის მონაცემებით ლეჩხუმში 179 გვარსახელი დავითვალეთ. სსვადასხვა ეტაფოლანი გვარების წარმომადგენელთა რიოლენობის პროცენტული შეფარდება შემდეგია: — ან (— იან) სუფიქსიანი და — ძე ფორმატიანი გვარების მატარებელი მოსახლეობა თითქმის თანაფარდობაში იყო ერთმანეთთან. პირველნი მთელი მოსახლეობის ოთხქმის 43% — ს შეადგენენ, — ძე ფორმატიანნი კი 44 % — ს. მოსახლეობის 10% — ზე ოდნავ მეტი ატარებდა — შვილი ფორმატიან გვარსახელებს. საერთოდ,—ძე ფორმატიანი გვარსახელები ჭარბობდა იან (—ან) ფორმატიან გვარსახელებს. პირველი თუ 89 ერთეულს ითვლიდა, მეორე მხოლოდ —54. ამასთან —აე ფორმატიანი გვარებიდან ყველაზე დიდი იყო სილაგაძეების გვარი (88 ოჯახი). სვანიძეები (80 ოჯახი), ფრუიძე (63 ოჯახი), ჩაკვეტაძე (52 ოჯახი) ალაკიძე (41 ოჯახი) და სხვა. — იან (— ან) ფორმატიანი გვარებიდან თავისი მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ: კოპალიანები (122 ოჯახი) ახილდიანები (111 ოჯახი), ხეცურიანები (94 ოჯახი), გოლეთიანები ოა მუშკუდიანები (60—60 ოჯახი). ასათიანები (62 ოჯახი).—შვილი ფორმატიანი გვარებიდან მრავალრიცხოვანი იყვნენ: ყურაშვილები (71 ოჯახი). მამარდაშვილები (36 ოჯახი), უგრეხელაშვილები (30 კომლი), ყურაშვილები (25 კომლი), გაბიძაშვილები (17 კომლი), ასლანიკაშვილები (14 კომლი) და ა. შ.

საკუთრივ პირადი სახელებიდან ლეჩხუმი ფაღრესად დიდ ანალოგიას ამჟღავნებდა იმერეთსა და რაჭასთან. 1904 წლის საკომლო აღწერის მონაცემებზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ აქ ძირითადად გავრცელებული იყო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სახელები. აღნიშნულ აღწერაში შეტანილია მხოლოდ ოჯახის უფროსთა სახელები და ამდენად ლეჩხუმში გავრცელებულ მამაკაცთა სახელებზე მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენა შეიძლება შეგიქმნათ. 1904 წლის აღწერის მიხედვით ლეჩხუმში გაკრცელებული ყოფილა 142 მამაკაცის სახელი. საინტერესოა, რომ საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სახელების უმეტესი ნაწილი შეტანილია კნინობითი ფორმით. ისე როგორც ისინი ადგილობრივ გამოითქმოდა და დღესაც გამოითქმის. მაგალითად, აბრამის ნაცვლად გვხვდება აბრამულა. ადამი გვხვდება რამდენიმენაირი ფორმით: ადამია, ადამუკა. სხვა მაგა-

ლითები: ბასილა და მისი შემოკლებული ფორმა ბასი; ბეკო—ბეკოია, ბეკოლია, ბეკოა; ბეჟან — ბეჟანიკა და ბეჟუკა; ბერი —ბერუა, ბერუკა, ბერუკელა; გაბო — გაბოლია, გაბოლა; გახო — გახოია, გახოლია; გიგო — გიგოლა, გიგოლია, გიგოლა, გიგოელა; გიო (თუ თავად გიორგის შემოკლებული ფორმა არ არის) — ვიოლა, გიოფერტა. გიოჩელა, გიოტა; გიორგი — გიორგილა, გიორგელა, გიორგენა; გოგი — გოგოელა; გოგილა, გოგილე. გოგინა, გოგინიკა, გოგისა, გოგიტა, გოგიტია, გოგიჩა; დავით — დათიკა, დათილა, დათუა, დათუნია, დათუნიკა, დათია, დათია. დავთელა, დათილა; ივანე — ივანიკა, ვანო, ვანია, ვანიკია, ვანიკა; კაკუა — კაკუჩელა; კაცია — კაცო, კაცოლია, კაცოლა, კოცონია, კაცინკა, კაცუნა; კიკო — კიკოლა; ნიკოლოზ — ნიკო ნიკოია, ნიკოლა; ეუტუ — ეუტულია; სისო — სისონა, სისონია, სისონიკა, სისია; სიტო — სიტოლა, სიტონია, სიტილე.

XX ს. დასაწყისის ლეჩხუმში ყველაზე გავრცელებული მამაკაცის სახელები ყოფილა ივანე, დავით, ნიკოლოზ, გოგია, გლასუა, გიორგი, სისო, სიმონი, კაცია, პეტრე, ბეკო, გიგო, მიქელა, მამუკა, ოქროპირი... გარდა ამისა, კანონიზებული ქრისტიანული სახელების გვერდით ლეჩხუმში განაგრძობდა არსებობას ძველი ქართული და ქართველური მამაკაცთა სახელები. ზემოთ დასახელებულ გლასუას, სისოს, კაცოს, ბეკოს, მამუკას, ოქროპირის გარდა შეიძლება დავასახელოთ: ბაკიჩა, ბერუკა, ბიჩინა, ბიჭია, ბუჭუ, გაბოლა, გახო, გიტა, გონიერა, გული, ვაჟიკა, ხაზუა, კვაცოლა, კვირია, კიკო, კოხილა, კოხტა, მახარე, ბიკე, ხანია. ნატრია, ეუტუ, საუკარელ, სიტო, სულა, უფლისა, ჩიჩო, ძალოლა, წყალობა, ხოსია, ხუტა, ხუცია, ჯავან, ჯოდორია და ორი შედგენილი სახელი: ხატისამეკა და ღვთისამიერი. ხაზგასასმელია, რომ ეს სახელები XX ს-ის დასაწყისის ლეჩხუმში ისე არ იყო გავრცელებული, როგორც ქრისტიანული კანონიზებული სახელები. ზოგიერთ ქრისტიანულ-კანონიზებულ სახელს კი ისეთი ეროვნული ანდა შემოკლებული ფორმა ჰქონდა მოცემული და იმდენად გახალხურებულ-გაქართველებული იყო, რომ დაკვირვების გარეშე ზოგჯერ ძნელია მიხვდეს ადამიანი ამ თავდაპირველ სახელს.

ქრისტიანობის შრავალსაუკუნოვანი გავრცელების მიუხედავად, ჩანს, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მაინც ძველად იყაფავდა გზას კანონიზებული ქრისტიანული სახელები. ეს განსაკუთრებით ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებსა და დასავლეთ საქართველოდან სვანეთსა და სამეგრელოზე. ლეჩხუმშიც როგორც ირკვევა, ეს პროცესი ნელა მიმდინარეობდა. თუ ავიღებთ XVI - XVII საუკუნეების რამდენიმე საისტორიო საბუთს, აშკარად ჩანს, ამ პერიოდისათვის აქ ძირითადად ქართული სახელები იყო ხმარებაში და საბუთებში იმასაც ააშკარავებს, რომ ისინი ქრისტიანული ეკლესიის მიერ აღიარებულნი იყვნენ. დღეს ასეთი ქართული სახელები შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს. ბოლო დრომდე მათი უმეტესობა მაინც ცოცხ-

ლობდა მეტსახელების (თიკუნების) სახით, XVI—XVII სს. სამი საეკლესიო საბუთიდან 62 მამაკაცის სახელი ამოვიწერეთ, რომელთაგან ქრისტიანული ბოლოდ რამდენიმეა: გიორგი, ეფრემ, თედორე, ივანე, იონა, იოვაკიმ, მანოელ, მიქელ, იოსებ... ქართულ-ქართველური სახელებიდან შეიძლება ჩამოვთვალოთ: ბაჩია, ბუღია, გოგინა, გოგიჩა, გონიერი, გოჩია, გუგუტა, გუტა, თუია, თუთია, კავია, კაცია, ქანნია, კვაკვალია, კოკია, ლომინა, მათვალო (მათვალი), მამისთვალი, მახარა, მახარობელ, მახურა, ნაისტულა, ნანიტა, ნასყიდა (ნასხიდა), ნეფისა, ნინია, ოკროპირ, პაატა, ეოკუა, სულა, სულთამა, ძაღლუტა, სულია, სუსულა, ქიქნია, ჩიტია, ციცუნა, ცქვიტია, ძულია, ძაღლუა, წიწილა, ხოჩა (ხოჩია), ხოხუა, ხუცი, (ხუციკა).

დავუბრუნდეთ ლეჩხუმის ეთნიკურ ისტორიას.

ისევის კითხვა: რადგან ლეჩხუმის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბოსელია, სად წავიდა ძველი ლეჩხუმის (თაკვერის) ადრინდელი მოსახლეობა? თანაც დღევანდელი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უკვე მკვიდრობდა ლეჩხუმში XVI საუკუნეში. სავარაუდოა, რომ ეს გვარები კიდევ უფრო ადრე, 2—3 საუკუნით წინ იყვნენ დასახლებული. ვფიქრობთ, ლეჩხუმის ძველი მოსახლეობა დასავლეთ საქართველოს ბარში უნდა გადასახლებულიყო, ძირითადად ქვემო იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში. ზემოთ ჩვენ ამ გადასახლებათა რამდენიმე მაგალითი ვოვიყვანეთ, და ისიც აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით კვლევა ახალი მასალებს უსათუოდ გამოავლენს. მთისწინეთიდან-ლეჩხუმიდან მოსახლეობის დასავლეთ საქართველოს ბარის რეგიონებში მიგრაცია ბუნებრივია. ეს [illegible] ისტორიის მანძილზე ხან ინტენსიურად, ხან არაინტენსიურად მიმდინარეობდა, შესაბამისად ქვეყნის ისტორიული მდგომარეობისა.

ქართველი ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერების დაკვირვებით, რომელთა კვლევა-ძიების სფეროს ტოპონიმია შეადგენს, ლეჩხუმის ძველი მოსახლეობა სვანურენოვანი უნდა ყოფილიყო [25, გვ. 429; 24; 19]. მართლაც, ტოპონიმების დიდი ნაწილი იხსნება სვანური ენის (აგრეთვე, მეგრული ენის) სიმეაღლეებით. როდის დათმო სვანურმა ენამ აქ თავისი გავლენა? როდის მოხდა ასეთი მსხვილი მიგრაციული გადასახლება ლეჩხუმის ძველი მოსახლეობისა, რომელმაც სვანური და ნაწილობრივ მეგრული ენის შეცვლა გამოიწვია ამ რეგიონში ქართული ენით? ვფიქრობთ, რომ ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში მომხდარიყო, თუ თაკვერის მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებლად სხვაგან გადავიდოდა. ეს გადასვლა კი ორი მიმართულებით შეიძლება განხორციელებულიყო: მთისაკენ (სვანეთი) და დასავლეთ საქართველოს ბარისაკენ. მოსახლეობის სვანეთისაკენ ასეთი გადასვლა ალბათ გამორიცხულია, რადგან მთის ეს რეგიონი მოსახლეობით ათვისებული იყო და ითისწინეთის მოსახლეობის მთაში დასახლების შესაძლებლობა საკლებად იქნებოდა. მიგრაცია ძირითადად დასავლეთ საქართველოს ბარში უნდა წარმართულიყო ლეჩხუმის (ძველი თაკვე-

რის) სვანურენოვანი მოსახლეობისა. ამის შემდეგ კი სოციალურად დაწინაურებულ ბარს, ალბათ გაუჭირდებოდა თავისი ენობრივი გავლენის გავრცელება ლეჩხუმზე (იგივე თაკვერზე). ამ მოვლენასთან, ბუნებრივია, ხელი უნდა შეეწყო ქრისტიანულ ეკლესიას.

ლეჩხუმის, გახანძრა რაიონები მეგრული ელემენტით უნდა ყოფილიყო დასახლებული (იგულისხმება ქვემო ციხისთან მოსახლე დღეანდელი ხონისა და წყალტუბოს რაიონებთან ძველი ტერიტორიები). ალბათ ამ მარეული მეგრული ტოპონიმების პრიმატი მიუთითებს.

მოსახლეობით გამეჩხერებულ ლეჩხუმის ტერიტორიაზე ნელ-ლად თავისუფლად ხდებოდა მთიდან სვანეთის მოსახლეობის მიგრაცია. სვანეთში უაღრესად მჭიდროდ დასახლებულ მოსახლეობას დასასახლებლად თავისუფალი და ეარგისი ადგილების ძებნა უხდებოდა. ასეთი ტერიტორია კი ნათთვის მთისწინეთის მოსახლეობისაგან გამოთავისუფლებული რეგიონი-ლეჩხუმი იყო. ლეჩხუმში სვანური ტოპონიმების სიმრავლე (განსაკუთრებით მსგავსი, ე. წ. წყვილი ტოპონიმებისა) იქნებ ამ მოძენტოთაც იყოს განპირობებული. სვანეთიდან მოსულს, პირველ ხანებში, ბუნებრივია, მოჰქონდა თავისი ენა და ამ ენისათვის დამახასიათებელი ტოპონიმებიც. განსაკუთრებით, მცენარეობაში გვაქვს ასეთ ტოპონიმია ღა ჰიდრონიმები, არამედ სამეურნეო ტოპონიმია.

ასეთია უშუალოდ ეთნოგრაფიული მასალის მონაცემები ლეჩხუმის მოსახლეობასე. ახლა ჩამოვაყალიბოთ ის შეხედულებანი, რაც ლეჩხუმის მოსახლეობის შესახებ არსებობს საეკლესიერო ლიტერატურაში. რაც ძირითადად დამყარებულია ამ რეგიონების ტოპონიმების შესწავლაზე. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „... უეჭველია ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ; ბლინიუსი, მაგალითად, მოგვითხრობს მდინარე ხობი კავკასიის მთიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დიო. ამასვე ამტკიცებს საგეოგრაფიო სახელების დაკვირვებაც, მაგალითად, ლეჩხუმი, ლებაჩილე და სხვა“ [25, გვ. 429]. უეჭველია, რომ ივანე ჯავახიშვილი სვანეთის სამხრეთით ბინადრობის ადგილებში ლეჩხუმს გულისხმობს. მას ამოსაკენ საისტორიო წყაროთა და ტოპონიმთა (ოიკონიმთა) ანალიზმა უბიძგა. ივანე ჯავახიშვილმა იმ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება, რომ „სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაეპყრიათ, ისინი კი კავკასიის უღელტეხილზე მოუმწყდევიათ. დაპყრობილ სვანებს მეგრული შეუთვისებიათ. მაშასადამე, მეგრელებსა და სვანებს შორისაც ნარევი ტომი უნდა გაჩენილიყო. ამას პტოლემეს ცნობაც ამტკიცებს. თავის გეოგრაფიაში იგი ნარევ ტომად სვან კოლხებს (სუანნო-კოლხო) ასახელებს. ასევე იხსენიებს სომეხი ისტორიკოსი ფაუსტუსი ბიზანტიელიც „(26, გვ. 56). გ. მელიქიშვილის გამოკვლევით კი დასავლეთ საქართველოში სვანური ელემენტი ძ. წ. VIII — VI სს გაცილებით დიდ ტერიტორიაზე, დღეანდელ ფოთამდეც კი ვრცელდებოდა [18, გვ. 50-68].

თუ გაეცნიერებთ ივ. ჯავახიშვილის ამ შეხედულებას, გამოდის, რომ ლეჩხუმის დღევანდელ ტერიტორიაზე ჯერ სვანები ბინადრობდნენ, შემდეგ მოწოლის გამო სვანები მთებში შეიხიზნენ და ლეჩხუმში ნარევი სვანურ-მეგრული მოსახლეობა გაჩნდა. უფრო საგულვებელია, რომ ლეჩხუმში, უფრო სწორედ მის გაოკვეულ ნაწილში, ქვემო იმერეთის მოსახლეობა ლეჩხუმის ტერიტორიაზე მეგრული ელემენტი გაატანდა. ტოპონიმებთან ერთად, ლეჩხუმში მეგრული ელემენტის შეკვდრობაზე საკულტო ძეგლებიც (სალოცავებიც) მიუთითებენ. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ლეჩხუმის ერთ-ერთი დიდი სალოცავი „ხვამლი" (დღეგასწაული „ხვამლობა") და ხვამლის მთა. მეგრულად კი „ხვა" ლოცვას, ვედრებას ნიშნავს, „ოხვამე" კი ეკლესიას [23, გვ. 425]. შემდეგ ძოხდა ამ მეგრული და სვანური ელემენტის გაქართება. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ განსხვავებით იმერეთ-გურიის მსგავსი ეთნიკურ-ეთნოგრაფიული მოვლენისაგან ივანე ჯავახიშვილი აქ არ გამოყოფს მიგრაციათა ამ ტალღების პერიოდს. იმერეთ-გურიაში აღმოსავლეთ ქართული ელემენტის შეღწევა მას VI—VII საუკუნეთა მოვლენად მიაჩნია. ჩვენი აზრით, ლეჩხუმრაჭაში ეს პროცესი თანადროული უნდა ყოფილიყო. სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ ლეჩხუმში, მის განაპირა მხარეებში, მეგრული ელემენტის შეღწევა შეიძლება სწორედ ამ პერიოდში მომხდარიყო, როდესაც ქარსლიდან VI-VII საუკუნეებში მოსახლეობა კოლხეთში ეფუძნებოდა. შევიწროებულმა მეგრულმა ელემენტმა კი, თავის მხრივ, ცხენისწყლისა და რიონის ზემო წელს მიაკითხა. მაგრამ ლეჩხუმის გაქართების პროცესი შეღარებით გვიან უნდა მომხდარიყო, მას შემდეგ, რაც დღევანდელ ქვემო იმერეთში საბუდამოდ ქართული ელემენტი დამკვიდრდა. ამასთანავე, ეს პროცესი აქ მხოლოდ ერთი გზით, ქვემო იმერეთიდან არ უნდა წარმართულიყო. ალბათ რაჭის გზითაც პარალელურად ხდებოდა ეს პროცესი. რაჭის მოსახლეობის ქართიზაცია კი იმერეთ-გურიის ქართიზაციის პარალელურად VI—VII საუკუნეებში უნდა განხორციელებულიყო. შესაძლოა, სწორედ ამ პროცესებისაც იყო გამოწვეული, რომ რაჭა-ლეჩხუმის გამაერთიანებელი ძველი სახელწოდება „თაკვერი" რაჭამ ასე ადრე დაკარგა და ის გვიანობამდე ლეჩხუმს შემორჩა. ვახუშტის მიხედვით რაჭას თაკვერის სახელწოდება ბაგრატიონებამდე (ე. ი. IX ს-მდე) უტარებია. მაინც როდის უნდა შეცვლილიყო ლეჩხუმში ადგილობრივი სვანური და ზოგიერთ მის განაპირა ადგილს მეგრული (ე. ი. დასავლურ ქართული) ელემენტის აღმოსავლურ ქართულით შეცვლა? ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი აქ დაახლოებით X ს. უნდა მომხდარიყო. დ. მუსხელიშვილის აზრით კი თაკვერის ქართიზაცია VIII ს-ის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო (18ა, გვ. 146).

ივანე ჯავახიშვილის მსგავსი შეხედულება ჰქონდა ე. თაყაიშვილს ლეჩხუმის შესახებ. ის წერდა: „ლეჩხუმი ძველად ქვემო სვანეთის ანუ

ცხენისწყლის სვანეთის ნაწილად გვიელენენა. ლეჩხუმელები გაქართველებული (გაიმერელებული) სვანებია" [9, გვ. 89].

ქართული მეცნიერული ეთნოგრაფიის ფუძემდებელი გ. ჩიტაია წერდა: „მეტად მდიდარ მასალას წარმოადგენს ლეჩხუმის ტოპონიმია ეთნიკური საკითხის გასარკვევად. მას შეეფუნახავს ისეთი სახელები, რომლებიც სხვადასხვა ეთნიკურ ფენას გამოეკუთვნებიან". გ. ჩიტაიამ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ „ლეჩხუმის ეთნიკურ-გენეტიკური პრობლემების გადასაჭრელად უაღრესად ნაბიჯნელოვანია სამეცნიერო კვლევისათვის ლეჩხუმის ლიმიტროპიულ ზოლში მუშაობა — რაჭის ქედმა სვანეთის და სამეგრელოს საზღვრების ზოლში„ [21, გვ. 267].

ჩვენ ახლა არ შეეხებით ლეჩხუმის ტოპონიმების, უფრო სწორედ ტოპონიმების, აბ მოდელს. შეიძლება ითქვას, რომ ის საკმაოდ ეფექტურად შესწავლილი [24; 2; 19; 6]. მაგრამ ერთს მაინც აღვნიშნავთ, თუ იქვე ჯერ-ჯერობით დაწყებული თითქმის ყველა მეცნიერი ლეჩხუმის ტერიტორიაზე თანმიმდევრული მნიშვნელობით ხელიადა ბეგრულ და სვანურ ტიპონიმებს, უკანასკნელი გამოკვლევებით მ. ქალდანმა და გ. გასვიანმა პრიორიტეტი სვანურ ტოპონიმებს მიანიჭეს (19; 6). უნდა ითქვას, რომ ამ ავტორთა თითქმის ყველა მსჯელობა ამ თვალსაზრისით ლოგიკური და მხარდასაჭერია. თუმცა მაინც არ შეიძლება გვერდის ავლა ლეჩხუმში არსებულ მეგრულ და საკუთრივ ქართულ ტოპონიმებზე. აქვე შეიძლება ითქვას-იშ (//-შ) სუფიქსიან და-ლე (-ლა) პრეფიქსიან ტოპონიმებზე, რომლებიც მ. ქალდანს ლეჩხუმში სვანური ენის შემოქმედებად მიაჩნია. მაგრამ არც იმ ფაქტორის უარყოფა შეიძლება, რომ ამ პრეფიქსითა და სუფიქსით სამეგრელოს ტერიტორიაზე ტოპონიმები სამეგრელოსა და თვით აღმოსავლეთ საქართველოს მთა-მთისწინა ზოლში. ვფიქრობთ, რომ დასახელებული პრეფიქს-სუფიქსები საერთოდ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო (რომლებიც ბოლო დრომდე სვანურსა და მეგრულში შემორჩა) და არა მხოლოდ სვანურისათვის ან მეგრულისათვის.-იშ სუფიქსი ხომ აღმოსავლეთ ქართულ-ის-ის ფონეტიკური შესატყვისია.

ჩვენს მიერ მოტანილი ეთნოგრაფიული მასალები კი ამტკიცებენ, რომ ლეჩხუმის ლიტერატურული მოსახლეობა ბეგრულებულია სვანეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, გურია-აჭარიდან და სხვა. რა თქმა უნდა, არიან ადგილობრივი ძირძველი გვარებიც. სვანური გვარები (-იან) (-ან) ფორმატიანი გვარები ძირითადად სვანეთიდან არიან გადმოსახლებულნი. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ასეთი გვარი ადგილობრივი ძველი სვანური ნარჩენი არ არის. გასაკვირია, ვის მიერაა შექმნილი სვანური (თუ გინდ მეგრული) ტოპონიმები ლეჩხუმში? სვანეთიდან მიგრირებულთა მიერ, თუ იმ სვანურენოვანი მოსახლეობის, რომლებიც თაკუერში მკვიდრობდა? მიგვაჩნია, რომ სვანური ტოპონიმების შექმნა ლეჩხუმში ორივე გზით უნდა მომხდარიყო: 1) ლეჩხუმი იყო რა ძველთა სვანთა საცხოვრებელი, რეგიონის გაქართების

შემდეგ აქ დარჩა ადგილობრივი ტოპონიმია და 2) უფრო გვიან უკვე გაქართებულ ლეჩხუმში გადმოსახლებულ სვანებს თან მოეჰქოხდათ სვანური ტოპონიმები. აღნიშნული მაჯალობიდან ვფიქრობთ გასაგები უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ლეჩხუმში მოსახლეობის მოძრაობა ცვლილებაში. თავდაპირველად გაქართებული მოსახლეობის ძალიან პატარა ნაწილი უნდა ცხოვრობდეს დღევანდელ ლეჩხუმში. ეს ლეჩხუმელები, იმდენად რამდენადაც ლეჩხუმი მთიანეთია და ჩვენი დაკვირვებით მთიანეთის მოსახლეობის ისტორიულად დიდი მოძრაობითობა. მიგრაციანი მიდრეკილება ახასიათებს, თავის დროზე დასავლეთ საქართველოს ბარში უნდა გადასახლებულიყვნენ. ვფიქრობთ, მომავალი კვლევა-ძიება ამ თვალსაზრისს უფრო გაამაგრებს. მათ ადგილზე, უკვე ბოგვიანო პერიოდში, XIII — XIV სს. უნდა მოსულიყო ის მიგრაციული ნაკადი, როგორც დასავლეთ საქართველოს მთიდან. ისე ბარიდან, რომელნაც შექმნა ლეჩხუმის დღევანდელი მოსახლეობის სახე. ამასთანავე, ისიც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ პერიოდში ლეჩხუმიდან მისი ადრინდელი გაქართებული მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთ საქართველოს ბარში და აქ სვანთა ჩამოსახლება თანხვედრილი, თანადროული პროცესი უნდა ყოფილიყო. ამის ერთ-ერთ დასადასტურებლად ძიგვაინია ტოპონიმი „ლეშვენა" ცხუკეში-ერა და ლეჩხუმს ძორია, რომლის შესახებაც მიუთითა მ. ჩიქოვანმა. მან ეს ტოპონიმი სვანეთიდან მიგრაციას დაუკავშირა. ვის უნდა შექმნა ტოპონიმი „ლეშვენა" (სვანურად სვანთა ადგილს ნიშნავს) ლეჩხუმში და როდის? ვფიქრობთ, რომ „ლეშვენა" სწორედ აღნიშნულ პერიოდში სვანეთიდან მიგრირებულებს თავიანთი საცხოვრებლისათვის უნდა ეწოდებინათ (არც ისაა გამორიცხული, რომ „ლეშვენა" ლეჩხუმის გაქართების პერიოდში წარმოქმნილი ტოპონიმი იყოს. ადგილობრივი დამხვდური სვანი მოსახლეობის სამკვიდრებლისათვის „ლეშვენა" (სვანთა ადგილი) შეერქვიანათ, მაგრამ მეორე ვარიანტი მაინც ნაკლებ სარწმუნოა. ისევ დრო, ნაკლებ საგულისხმოა ტოპონიმის სვანური ფორმით გაჩენა. ეს ტოპონიმი იმასაც მიუთითებს, რომ როდესაც ის შეექმნა ირგვლივ სვანური ელემენტი უკვე ნაკლებად უნდა ყოფილიყო. ლეჩხუმი უკვე გაქართებული უნდა ყოფილიყო, თუ არა ნაკლებ ლიგვური იქნებოდა სვანურ ენობრივ სამყაროში, გარემოში „ლეშვენას" („სვანთა ადგილის") გაჩენა.

ასეთია კვლევის შედეგები ლეჩხუმის დღევანდელ ტერიტორიაზე ისტორიულად მოსახლეობის მოძრაობაზე. ისევე როგორც საქართველოს სხვა მთისწინა რეგიონებში, აქაც არაერთმა მიგრაციულმა ნაკადმა გადაიარა. საერთოდ, არსებული ისტორიული, ეთნოგრაფიული, ტოპონიმიკური მონაცემების გათვალისწინებით ლეჩხუმის ეთნიკური ისტორია შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. VI—VII საუკუნეებამდე ლეჩხუმის (ძველი თაკვერის) დღევანდელი ტერიტორია სვანებით იყო დასახლებული;

2. VII-IX საუკუნეებში ლეჩხუმში უნდა შემოეღწია მიგრაციულ ელემენტს, რომელიც მკვიდრად უნდა დამჯდარიყო მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ღღეანდელი ქვემო იმერეთის მოსაზღვრე ტერიტორიაზე.

3. X საუკუნეში უნდა გასტარებულიყო თაკვერის ქართველიზაცია ქვემო იმერეთიდან და რაჭიდან მოსახლეობის მიგრაციის და კულტურული კონტაქტების გზით. ამ პერიოდში სვანურ-მეგრული მოსახლეობის ქართველიზაციაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ქრისტიანულ ეკლესიას;

4. დაახლოებით XIII-XIV საუკუნეებიდან ლეჩხუმში უნდა მომხდარიყო ორმხრივი მიგრაციული პროცესი: ა) ლეჩხუმის მოსახლეობის დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში ჩასახლება და ბ) დასავლეთ საქართველოს მთიანეთის-სვანეთის მოსახლეობის ლეჩხუმში ინტენსიური მიგრაცია. ნაშრომში მითითებული გვარები სვანეთიდან ლეჩხუმში-გადმოსახლებულნი ამ პერიოდიდან უნდა იყვნენ მოსულ — დაძკვიდრებულნი. ამასთანავე, დასავლეთ საქართველოს ბარის რაიონებიდან პარალელურად მიმდინარეობდა ლეჩხუმში კლასობრივი წინააღმდეგობით განპირობებული მოსახლეობის მიგრაცია.

ასეთია, ჯერჯერობით, არასრული მასალით ლეჩხუმის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათი, ისტორიულად მიმდინარე მიგრაციული პროცესები და ამ მხარის ეთნიკური ისტორია. მაგრამ ყოველივე თქმულის შემდეგ მაინც ისმის რამდენიმე კითხვა, რომლებსაც პასუხი ალბათ მომავალმა კვლევა-ძიებამ უნდა გასცეს; ა) როდიდან ჩნდება ისტორიულ-გეოგრაფიული (და ისტორიულ-ეთნოგრაფიული) ტერმინი „თაკვერი"? (პირველად საისტორიო წყაროებში თაკვერი დამოწმებულია VII ს-ის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში. (იხ. ქსე, ტ. ტ. 4), ქართლის ცხოვრების ერთ-ერთი ავტორი ჯუანშერი ვახტანგ გორგასლის ერისთავებს შორის ასახელებს მარგვისა და თაკვერის ერისთავს ბაკურს (ქც, I, გვ. 185); ბ) თუ სვანურენოვანი მოსახლეობით იყო დასახლებული თაკვერი, რატომ გამოიყოფოდა სვანური ეთნოგრაფიული სამყაროსაგან? გ) თაკვერის ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ერთეულის გაჩენა ხომ არ იყო გამოწვეული ადრე ფეოდალურ პერიოდში მთიანი სვანეთისაგან გამსხვავებული სოციალური სტრუქტურით? დ) თავდაპირველი თაკვერი ენობრივ-დიალექტიკური თვალსაზრისით ხომ არ იყო სვანური საგან განსხვავებული (იგულისხმება სვანურსა და მეგრულს შორის რაიმე გარდამავალი ენობრივი ერთეული: არსებობა)?

ლეჩხუმში განსახლებული გვარები

სია ძირითადად ეყრდნობა 1904 წლის საკომლო აღწერას, რომელიც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო არქივში და ჩვენს ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ავრეთვე, მ. ჩიქოვანის „ტოპონიმიკურ ლექსიკონს“ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, IX, 1939 და მ. ალავიძის „მასალები ლეჩხუმური ლექსიკონისათვის“ — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955.

ა ბ ა შ ი ძ ე—მკვიდრობდნენ ლაცორიაში, წილამიერში. ამ სოფლებში მოსახლენი იყვნენ გლეხები, ხოლო სანორჩელი აბაშიძეები აზნაურთა პრივილეგირებულ წოდებას ეკუთვნოდნენ.

ა ბ რ ო ლ ი ა ნ ი — სოფელი მახურა.

ა კ ო ბ ი ძ ე — სოფლები ისუნდერი და მახურა.

ა ლ ა ვ ი ძ ე — სოფ. საირმე.

ა რ დ ა ნ ი ა ნ ი — სოფ. მახაში, სანორჩი.

ა რ ჩ ვ ა ძ ე — სოფ. ნასპერი.

ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე—სოფ. ზუბი, ლაჩეპიტა, ოფიტარა, ოყურეში.

ა ს ლ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი — მოსახლეობენ სოფლებში ოყურეშსა და ოფიტარას.

ა ს ა თ ი ა ნ ი—განსახლებულნი იყვნენ, როგორც რიონის, ისე ცხენისწყლის ხეობების სოფლებში: ბარდნალა, უსახელო, უცხერი, ორხეი, ლაილაში, დეღრჩი, ჭაშლეთი, ქორენიში, ონჭეიში და მექვენა. ძირითადად იყვნენ აზნაურები. 1904 წლის მონაცემებით უსახელოში მოსახლე ორი კომლი ასათიანი გლეხთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ.

ა ს ა მ ბ ი ა ნ ი — სოფ. დესვირი.

ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — ამ გვარისანი სამი სოციალური კატეგორიის (თავადი, აზნაური, გლეხი) წარმომადგენლები იყვნენ. განსახლებულნი იყვნენ და არიან: ჩხუტელში, ლაცორიაში, სპათაგორში, დეხვირში, უცხერში, ლაბურიაშში, ლასხანაში, ნასპერში, აღვში, სანორჩში, კვნაშში, ალპანაში, აჭარაში, ზოგიშში, ცაგერაში, ღვარდოაში, ჟოშხაში.

ბ ა კ უ რ ი ძ ე — ძირითადად სურბეშის მკვიდრნი იყვნენ. ბუყალოში 1904 წ. 10 კომლიდან 2 კომლი აზნაური იყო.

ბ ა ხ ო ძ ე ლ ა ძ ე — მკვიდრობდნენ ძირითადად რიონის ხეობის სოფლებში (ღეღრჩი, ტკეში, ორხეი, ვანი). ცხენისწყლის ხეობაში მოსახლეობდნენ ისუნდერში.

ბაკრაძე — მცირე რაოდენობით მოსახლეობდნენ ღვარჩში, ლასურიაში, უცხერში.

ბახსოლიანი — ძველად ორბელში (ლაჯანურის ხეობა) მკვიდრობენ.

ბენდელიანი — სოფლები: ჩხეტი და ღაცოლია.

ბენიძე — ცხენისწყლის ხეობის სოფელ ზუბში.

ბერაძე — მცირე რაოდენობით მკვიდრობდნენ ძველად სოფ. ღვარდიაში.

ბერიძე—1904 წელს ცაგერ-გვესოში 4 კომლი აზნაური ცხოვრობდა.

ბობოხიძე—სოფ. ალვი.

ბრეგვაძე—სოფ. ლასურიაში.

ბუაძე — სოფლები ნაკურალეში და საირმე (სული 3 ოჯახი).

ბურჯალიანი — ძირითადად სოფ. ორბელი. მცირე რაოდენობით იყვნენ ლასხანაში.

გაბიციანაშვილი — 1904 წ. ჭყვიში მოსახლეობდა 12 ოჯახი.

გადაბაძე — ჭყვიში.

გასვიანი—სვანეთიდან გადმოსახლებული გასვიანები ლეჩხუმის სოფლებში: ჩხუტელი, დეხეირი, მახაში, ლასხანა, ნასპერი. ლა სანორჩი — მკვიდრობდნენ.

გელოვანი — მკვიდრობდნენ: ლაცორიაში, სპათაგორში, სოჯში, ლაილაშში, ლაჯანაში, ღუში, ჭყვიშში. ძირითადად იყვნენ თავადები. მცირე ნაწილი აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა. ამ გვარისანი ჭყვიმო სვანეთსა და რაჭაშიც მოსახლეობდნენ.

გვენცაძე — მცირე რაოდენობით ღვარდიაში მკვიდრობდნენ.

გვიტიანი — პატარა გვარი იყო. სოფლები: ჩხუტელი და უსახელო.

გვიშიანი — 1904 წ. ორბელში 14 ოჯახი მოსახლეობდა.

გზობავა — სოფ. ორბელი.

გიორბელიძე — განსახლებული იყვნენ ოფიტარასა და ოყურეშში.

გიორგობიანი—სოფლები: სპათაგორი, ღვირეში, ლაილაში, სურმეში.

გოგელია — სოფელი ლუხვანო. 1904 წ. აღწერაში ჭყვიშში მოსახლე 12 კომლი გოგელიანადაა ჩაწერილი.

გოგელიძე — სოფ. ბაქვენა.

გოგიძე — ცაგერი-გვესო.

გოგებაშვილი — სოფ. ლეშკაში. 1930 წ. გადასახლდნენ სოფელ ლაჯანაში.

გოდერიძე — მ. ალავიძის მიხედვით მოსახლეობდნენ სოფ. ლაჯანაში, მაჯურაში, ოფიტარაში, ღუში.

გოდოლაძე — სოფ. ღუ და ქორენიში.

გოლეთიანი—სოფლები: ხოჯი, მახაში და ნაკერალეში.

გ ო ლ ო ძ ე — მ. ალავიძისა და მ. ჩიქოვანის მიხედვით სოფ. ლაილაში.

გ ო რ გ ა ს ლ ი ძ ე — სოფ. უსახელო.

გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი — სოფ. ჟოშხა.

გ ო რ ე ზ ი ა ნ ი — სოფლები: ნაკურალეში, ტვიში და ჟოშხა.

გ ო ჭ ა ძ ე — ეს გვარი ძირითადად ლაჯანურის ხეობაში (ლაილაში, სურმუში, ზოგიში, ცაგერა) მკვიდრობდა. ცხოვრობდნენ სოფ. ჟოშხაშიც.

გ უ გ ა ვ ა — ცაგერი — გვესო, ჩხუტელი, უსახელო.

გ უ რ ა ს ა შ ვ ი ლ ი — ჭყვიში.

გ უ რ ვ ე ჩ ი ა ნ ი — ორბელი.

გ უ რ უ ლ ი — წილამიერი, უსახელო, დეხვირი.

დ ა ე თ უ ლ ი ა ნ ი — სოფლები: წიფერჩი, ჩქუმი, ნასპერი, ლაჯანა.

დ ა შ ნ ი ა ნ ი — ერთი კომლი აზნაური 1904 წ. მკვიდრობდა ჩხუტელში.

ე ბ რ ე ლ ი ძ ე — ლაილაში.

ე ლ ი ა ვ ა — ბელბაქი.

ე ფ ა ძ ე — ჩხუტელი და ოყურეში.

ვ ა ჩ ა ძ ე — ნასპერი.

ვ ა წ ა ძ ე — მახაში და დეხვირი.

ზ ა ლ კ ა ლ ი ა ნ ი — ცაგერა, ზოგიში.

თ ა გ ვ ა ძ ე — 2 კომლი 1904 წ. ნაკურალეშში.

თ ე ვ დ ო რ ა შ ვ ი ლ ი — სურმუში და მახურა.

თ ე ვ დ ო რ ა ძ ე — უსახელო.

თ ვ ა ი ა ძ ე — უსახელო, ოყურეში, ლაილაში და სურმუში.

თ ო თ ა ძ ე — უსახელო.

თ უ თ ი ს ა ნ ი — წიფურში.

ი ა შ ვ ი ლ ი — ჟოშხა.

ი რ ე მ ა ძ ე — ნასპერი, ღვირიში და მახაში.

ი ს ი ა ნ ი — ზოგიში.

კ ა ბ ო ს ა ნ ი ძ ე — 1904 წ. საირმეში 10 კომლი მკვიდრობდა.

კ ა კ ი ტ ა ძ ე — საირმე და დერჩი.

კ ა ნ ა ჩ ა ძ ე — ლასურიაში და ლესინდი.

კ ა ნ თ ე ლ ა ძ ე — საირმე.

კ ა პ ა ნ ა ძ ე — ლასურიაში.

კ ა ხ ი ძ ე — დღნორისაში 1904 წ. 10 კომლი იყო.

კ ე კ უ ტ ი ა — ორბელი.

კ ე ნ ჭ ა ძ ე — ჭყვიში, მახაში, ორხვი.

კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე — თაბორი.

კ ე რ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი — ჟოშხა.

კ ვ ა ტ ა შ ი ძ ე — დერჩი და მექვენა.

კ ვ ა ტ ი ტ ი — ალპანა.

კვირკაშვილი — ჩხუტელი.
კვენტაძე — ორბელი.
კიკაბიძე — სოფ. ქოშნა.
კიბორძალიძე — ბაშლეთი.
კობერიძე — ლასურიაში და სურმუში.
კოპალიანი — ლეხვანო, ზარაგულა, ქულბაქი...
კუბალაშვილი — მახურა და ისუნდერი.
ლაკვენელიანი — ლაჯანა.
ლაორცულიანი — წილამიერი და წიფერში.
ლაჭყეპიანი — ტვიში.
ლეთოდიანი — ლეხვანო, ზები, ლახეფა, ქულბაქი. ქულბაქიდან 1951 წ. გადასახლდნენ ყილასურში.
ლეკიშვილი — ჭყვიში.
ლეფსვერიძე — ლიდი გვარია. განსახლებული არიან ლაილაში, ბარდიალაში, უცხურში, ზუბში, ტვიშში.
ლეშკაშელი — ორბელი, სპათაგორი, ღუ, ლაჯანა.
ლიპარტელიანი — ქვემო სვანეთიდან მიგრირებული ეს გვარი მკვიდრობდა ცხენისწყლის ხეობის შემდეგ სოფლებში: წიფერჩი, ისუნდერი, ბარდიალა, ქულბაქი.
ლომთათიძე — 1904 წ. ოთხი კომლი ტკიშის და 3 კომლი დღნორისას მკვიდრები იყვნენ.
ლუხუტაშვილი — გენდუში.
მაბარდაშვილი — ძირითადად ოყურეშის მკვიდრები არიან. აქედან განსახლებულნი იყვნენ: ოფიტარას, ისუნდერს, მახურას და ზუბს. ამასთანავე, ოფიტარასა (2 კომლი) და ზუბში (1 კომლი) მოსახლენი აზნაურები იყვნენ.
მანაგაძე — 1904 წ. ოფიტარასა და ჩორტისში 14 — 14 ოჯახი მკვიდრობდა, ონჭეიშში — 8, ლეხიდრისთავში — 3, დირჩში — 2.
მანდარია — აზნაურები. მოსახლეობდნენ: ოყურეშში, ლაჩეპიტასა და ისუნდერში.
მაღრიანი — მ. ჩიქოვანისა და მ. ალავიძის მიხედვით: ლასურიაში, ლაცორია, ლაჯანა, სპათაგორი.
მახარობლიძე — მხოლოდ ლაჯანაში.
მდივანი—1904 წ. ცაგერ-გვესოში ოთხი კომლი მკვიდრობდა.
მეგრელი — ლაჯანურას ხეობის ორ მეზობელ სოფელში — ორბელში და ლაჯანაში მკვიდრობდნენ.
მეიფარიანი — უსახელო.
მესხაძე—ლაილაში.
მეტონიძე — ჭყვიში.
მეშველიანი — ჩხუტელი, წიფერჩი და ლასხანა.
მინდიაშვილი — ლეხიდრისთავი.
მიქაუტაძე — 1904 წ. ჩქუმში 4 კომლი აზნაური იყო. დანა-

ორგენები გლეხები: ღენორჩისაში — 5 ოჯახი, მექვენაში — 3, დერჩში — 2.

მიქაძე — სოფლები: ღუ, აღვი, ზუბი და ნაკურალეში.

ბოწოხელიძე — ძირითადად ღვარდიაში მოსახლეობდნენ. მცირე რაოდენობით იყვნენ ლაილაშში.

მურუსიძე — ღეორი.

მურცხვალაძე — სოფელი ჩხუტელი.

მუკბანიანი — 1904 წ. თითო კომლი იყო ორბელსა და ოყურეშში.

მუშკუდიანი — ძირითადად ოყურეშისა და ლასურიაშის მკვიდრნი არიან. მოსახლეობდნენ, აგრეთვე, მახაშში, ოფიტარასა და ღვში.

ნემსაძე — აზნაურები. სოფლები: ჩხუტელი, ოყურეშში, ვანი.

ნიკოლიაშკილი — ჭაშლეთი და მექვენა. მექვენაში ძირნი აზნაურები იყვნენ.

ხუსწვერიძე — ბარდნაული, ზოგიში, ზუბი, ლაბეჭინა, ორბელი, ტვიში, უცხეური, ქორენიში და სხვა.

ობოლაძე — სურმეში.

ომანაძე — მახურა და ზუბი.

ოჯრეშიძე — დერჩი.

რატიანი — კეკაში და ღვარდია.

რუსიშვილი — 3 კომლი აზნაური ჩხუტელის მკვიდრი იყო (1904 წ.)

სადილიანი — სოფ. მახორა, აჭარა, თაბორი.

სალუქვაძე — სოფ. ყოშხა.

სანთელაძე — 1904 წ. გენდეშში 16 კომლი ცხოვრობდა.

სანიკიძე — მცირე რაოდენობით იყვნენ ორბელსა და საირმეში.

საღინაძე — ზარაგულა, ლუხვანო, ჩხუტელი, ცაგერი, წიფერჩი.

სვანიძე — ცხუკუშერი. მცირე რაოდენობით იყვნენ განსახლებულნი: ნგუეში, ორბელში, ჩხუტელში, ლასურიაში, სანორჩში, ლაილაში, ღვარდიაში.

სილაგაძე — ძირითადად ამ გვარისანი ცხოვრობდნენ: ღეხვირსა და ლესიბღში. ცხოვრობდნენ აგრეთვე, წიფერჩში, ქულბაქში, ორბელში, ხოჯში, მახაშში.

სიმსივე — 1904 წელს გვარი ჩაწერილია სამსივა-ს ფორმით. ცხოვრობდნენ ფსახელოსა და ზოგიშში.

ტყაბალაძე — 1904 წ. ღვირიშში 2 ოჯახი იყო.

უგრეხელიძე (ეგრეხელაშვილი) — ლაკეპიტა და ოყურეში. 1904 წლის აღწერით ღვარდიაში მოსახლე ერთი კომლი აზნაური იყო.

უგულავა — ლარჩავალი და ჩხუტელი.

ურთმელიძე — ხოჯი.

უ ჩ ა ძ ე — უცხერი.

ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი — ზუბი, კენაში, მახაში, ბცხეთა, ქორენიში.

ფ ა რ ც ხ ა ლ ა ძ ე — ალპანა.

ფ ო ჩ ი ა ნ ი — 1904 წ. ხოჯში ოთხი ოჯახი მკვიდრობდა.

ფ რ უ ი ძ ე — აშარა, ალპანი, საირმე, ნასპერი, წიფერჩი, დეხვირი, ჰყეიში და ჟოშხა.

ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე — წიფერჩი, ნასპერი და სანორჩი.

ქ ა რ ს ე ლ ა ძ ე — 1904 წ. მახორში 23 კომლი ქარსელაძე მოსახლეობდა.

ქ ვ ა რ ი ა ნ ი — 1904 წ. მონაცემებით აზნაური ქვარიანების 2 ოჯახი ორსვში და ერთი ოჯახი დერჩში მოსახლეობდა.

ქ ლ ი ბ ა ძ ე — წილამიერი.

ქ ო ბ უ ლ ა ძ ე — ონჭეიში.

ქ ო მ ე თ ი ა ნ ი — წიფერჩში, ღვირიშსა და სანორჩში.

ქ უ რ ც ი კ ი ძ ე — გენდუშში.

ქ უ რ ა ს პ ე დ ი ა ნ ი — 1904 წ. წიფერჩში სამი კომლი იყო.

ღ ო ღ ე ლ ი ა ნ ი — ლაჯანა, წიფერჩი, ჰყეში.

ღ უ რ ჭ უ მ ა ლ ი ძ ე — ნასპერი.

ყ ვ ი რ ი ლ ი ა ნ ი — ლასხანა, წილამიერი, ლეშკაში.

ყ ი ფ ი ა ნ ი — წილამიერი, ჰყეიში, ჟოშხა. აზნაურები.

ყ რ უ ა შ ვ ი ლ ი — აზნაურების ეს გვარი მკვიდრობდა: უსახელოში, ოყურეშში, ოფიტარაში, ლაჩეპიტაში, ნაკურალეშში და ლახეფაში.

ყ უ რ ა შ ვ ი ლ ი — ნაკურალეში, ღვირიშში, ოფიტარაში, ოყურეშში, უსახელოში. 1904 წ. ლასხანაში მოსახლე ერთი ოჯახი აზნაურის წოდებას ატარებდა.

შ ა ნ ი ძ ე — სოფ. დერჩი.

შ ე კ ი ნ ვ ი ლ ი — უსახელო.

შ კ უ ბ ულ ი ა ნ ი — ცაგერი-გვესო და ჩხუტელი.

ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე — ძირითადად მოსახლეობდნენ: ლახეფაში. აგრეთვე: ცაგერი-გვესოში, ოყურეშში, ისუნდერში, ზუბში, ნაკურალეშში.

ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი — სოფლებში: წიფერჩში, ჩხუტელში, ოყურეშში, ღვირიშში, ჩორტისაში და სხვაგან განსახლებული ჩარკვიანები თავადთა და აზნაურთა პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლები იყვნენ. 1904 წ. აღწერით ღუში მოსახლე 2 კომლი გლეხი იყო.

ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი — განსახლებულნი იყვნენ ლაილაში და ლეშკაში.

ჩ ი კ ვ ა ი ძ ე — სოფლები ჩქუბი და ჟოშხა.

ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ამ გვარისანი ძირითადად თავადები იყვნენ. აგრეთვე, აზნაურები. განსახლებულნი იყვნენ: ლაცორიაში, სპათაგორში, ხოჯში, უსახელოში, მახაშში, ლესინდში, უცხერში, ცხუკუშერში, ღვირიშში, საირმეში და სხვაგან.

ჩ ო რ გ ო ლ ი ა ნ ი — ღუში 1904 წ. 6 ოჯახი მკვიდრობდა.

ჩხაბერიძე — სოფ. დერჩი.
ჩხეიძე — სოფ. აღვი.
ჩხეტიანი — ღვირში (1904 წ. 22 კომლი), აღვში (7 კომლი) და ლაილაშში.
ძნელაძე — საჩხეური.
ცვარიანი — ცაგერი-გვესო.
ციბარიძე—სოფ. სანორჩი.
ციხილაძე—სოფ. ჩხუტელი.
ცხვედიანი — მახაში, ლაილაში, საირმე, ჭყვიში. 1904 წ. ჭყვიშში მოსახლე ბრავალრიცხოვანი ცხვედიანებიდან 4 კომლი აზნაური იყო.
ჭაბუკიანი—სოფლები: დეხვირი, ლასურიაში და ლასხანა.
ჭინჭარაძე — სოფ. ჭყვიში.
ჭელიძე — სოფ. სანორჩი.
ჭიღვარია — სოფლები: ლუხვანო, ჟოშხა, ლასხანა.
ჭოხონელიძე — სოფლები: ზოგიში, წილამიერი, ლაჯანა.
ჭუბაშვილი—დერჩი.
ხაბულიანი — წიფერჩი და ბარდნალა.
ხალიანი — ზუბი და ღვარდია.
ხარაბაძე — სოფ. მექვენა.
ხარაიშვილი — სოფ. ალპანა.
ხახნელიძე—სოფ. ჭყვიში.
ხეცურიანი — ეს გვარი ძირითადად დიდი რაოდენობით განსახლებული იყო ღვირიშში, ნაკურალეშში და ლაილაშში. აგრეთვე: წიფერჩში, ბარდნალაში, უსახელოში, აღვში და სურმუშში.
ხვადაგიანი—ზოგიში და ნასპერი.
ხმელიძე — ქორენაში, უცხერი, ლასხანა, ნაკურალეში.
ხუბუკელაშვილი — ფჭყალასა და საირმეში.
ხურცილავა — ნასპერში. ეს გვარი მკვიდრობს, აგრეთვე, ისტორიული ლეჩხუმის, სოფ. გორდში.
ხუციძე — სოფ. საირმე.
ჯამბურიძე—სოფ. ლასურიაში.
ჯანაძე — სოფლები ალპანა და ზოგიში.
ჯანელიძე — ისუნდერი და ზუბი.
ჯანბოთელი — ლაილაში, გაგულეჩი.
ჯაფარიძე — ლაცორია, ლაილაში, უსახელო.
ჯიაძე—ნაკურალეში, აღვი, მახაში.
ჯიდოშვილი — წიფერჩი.
ჯილესაშვილი — საირმე და დერჩი.
ჯინჭარაძე — ფჭყალა.
ლეჩხუმში, სოფელ ლაილაში მოსახლეობდნენ აგრეთვე გრიგორიანი ქართველები და ქართველი ებრაელები. სომხურ-გრიგორიანული რწმენის ქართველთაგან შეიძლება დავასახელოთ: კაჭკაჭაშვილი

(შემდეგდროინდელი კაჭკაჭოვი), ბერუჩაშვილი (შემდეგდროინდელი ბერუჩოვი.)

ქართველ ებრაელთა გვარებიდან შეიძლება დ ვასახელოთ: ჯანუ-აშვილი, მარდახაიშვილი, მეგრელიშვილი, სეფიაშვილი, ფრონაშვილი, ბენიაშვილი, ხანელაშვილი, კიკოლაშვილი. ლაილაშვილი მკვიდრობდნენ ქართველი კათოლიკე ბაინდურაშვილები, რომლებიც მოგვიანო პერიოდში ბაინდუროვებად ჩაწერეს.

გამოყენებული ლიტერატურა

შ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951.

მისივე ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XVIII, 1958.

კ. ანთაძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი (უძველესი დროიდან 1921 წლამდე), ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, თბ., 1961.

ვ. ბეროიძე, სიტყვის კონა, ძველად და ოცვეულ თქმათა, თბ., 1986.

დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, შ. სურამელაშვილი, დ. ჭურდულია, ლეჩხუმი, 1983.

გ. გასვიანი, რაჭა-ლეჩხუმის ტოპონიმიკის საკითხისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, №3, 1968.

ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

ე. ფალავანდიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს, პარიზი, 1937.

რ. თოფჩიშვილი, ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVII—XX სს.), „მაცნე", ისტორიის... სერია № 4, 1987.

ბ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ., I, თბ., 1941.

ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამოყვაროებისა (1466—1770), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო შ. ბურჭულაძემ, თბ., 1958.

ს. კაკაბაძე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, თბ., 1921.

კ. კაკიტაძე, ერთი ლეჩხუმური ტოპონიმის (საჩხეური) ეტიმოლოგიისათვის, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1986.

ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1987.

ქ. კუბლაშვილი, ქვემო იმერული დიალექტი, თბ., 1985.

მასალები ლეჩხუმის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1985.

გ. შელიგეშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

შ. ქალდანი, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა — იშ// —შ სუფიქსის საკითხისათვის, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", ტ. III, თბ., 1963.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1970.

გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის ანგარიში, „საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე". XIII — ბ, თბ., 1944.
გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქაოთლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1946 წლისა, „მიმოხილვები". I, თბ., 1949.
ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.
მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ტოპონიმიკის სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, ა. ბოლქვინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1969.
იეს ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ერის ისტორია, I, თბ., 1960.
მ ი ს ი ფ ე, ქართული ერის ისტორია, II, თბ., 1965.
ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა და ქალაქები, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV (ეკონომიკურ-გეოგრაფიული სერია, რაჭა-ლეჩხუმი), თბ., 1961.
ა. ტ ე ლ ე ბ ი, ლეჩხუმი. XVII საუკუნის მეორე ნახევარი, „მაცნე", ისტორიის... სერია, № 1, 1988, გვ. 79—86.

რედაქტორი მ. ერისთავი
მხატვარი ა. თევზაძე
მხატვრული რედაქტორი ლ. ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ნ. მჭედლიშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. № 7153

გადაეცა წარმოებას 04.06.91. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.93.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,55. სააღრ.-საგამომც. თაბახი 2.53.
ტირაჟი 500. - შეკვ. № 343.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის
კორპორაციის № 4 სტამბა
380060, ქ. თბილისი, ეკა-ფშაველას პრ. № 29.